პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სალიტერატურო გაზეთი

ფასი 30 კაპიკი.

1933 წ.
16 აპრილი

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის ათდღიური გაზეთი

№ 9 (35)

პლენუმის დადგენილებათა განხორციელებისათვის

საბჭოთა მწერლების საკავშირო საორგანიზაციო კომიტეტის მეორე გაფართოებული პლენუმი ჩატარდა პარტიის პოზიციების ირგვლივ მხატვრული ინტელიგენციის კიდევ მეტად შემჭიდროებისა, ლიტერატურულ ფრონტზე ჯგუფობრიობის ნაშთების აღმოფხვრისა და საბჭოთა ლიტერატურის ცენტრში შემოქმედებითი საკითხების დაყენების ნიშნის ქვეშ.

პლენუმის მთელი მუშაობა მიმდინარეობდა საკავშირო კომუნისტური პარტიის ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომიტეტის იანვრის გაერთიანებულ პლენუმის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით და პარტიის და მუშათა კლასის ბელადის ამხ. **სტალინის** ხელმძღვანელი მითითებათა ნიადაგზე.

ის უდიდესი დაინტერესება, რომლითაც შეხვდა პლენუმი საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის სალიტერატურო ორგანიზაციათა მოხსენებებს წარმოადგენს იმის უტყუარ გარანტიას, რომ საბჭოთა მწერლების საკავშირო გაერთიანების სახით ჩვენ ნამდვილად ვქმნით სოციალისტური მწერლობისათვის ბრძოლის მთლიან ფრონტს.

ოქტომბრის წინადროინდელი მხატვრული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელთა მუშათა კლასის პოზიციებზე გადმოსვლის და მჭიდროთ დაახლოვების პროცესი ფართოდ ვითარდება საბჭ. კავ. ყველა რესპუბლიკებში. ამის ნათელი ილიუსტრაციას წარმოადგენდა პლენუმზე ბელორუსიის სახალხო მწერლების **იანკა კუპალას** და **კოლოსის გამოსვლა**, რუსეთის ცნობილი მწერლის **ალექსეი ტოლსტოის სიტყვა, ბორის პილნიაკის** მეტად საყურადღებო განცხადება. და **მიხეილ ჯავახიშვილის** მიერ პლენუმზე წარმოთქმული სიტყვა. ისინი მკაცრად გმობდენ წარსულში თავიანთ შემოქმედებით შეცდომებს და იძლეოდენ მტკიცე დაპირებას, რომ თავიანთი მომავალი სალიტერატურო საზოგადოებრივ საქმიანობას მთლიანად განსაზღვრავდენ ჩვენი რევოლიუციონური ეპოქის მოთხოვნილებით და იდეებით.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ საბჭოთა მწერლის **ნ. მიწიშვილის** გამოსვლა საკავშირო ორგკომიტეტის მეორე პლენუმზე, რომელიც შეიცავდა ნაციონალისტურ განწყობილებათა აშკარა რეციდივებს.

დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ თითქოს ლიტერატურულ ფრონტზე კლასობრივი ბრძოლა დამთავრებულია, რომ კლასობრივი მტრის აგენტურა ლიტერატურაში საბოლოოდ განადგურებულია ან თითქოს კლასობრივად უცხო იდეების გავლენა ჯერ კიდევ საგრძნობი არ იყოს თვით საბჭოთა მწერლობის ზოგიერთი ფენების პროდუქციაში. ცხადია, კლასობრივ ბრძოლა ლიტერატურის ფრონტზე გრძელდება, იგი ახალ ფორმებში მჟღავნდება.

პლენუმის მუშაობის ცენტრში იდგა საბჭოთა დრამატურგიის საკითხები, რომელსაც შეეხებოდა ამხ. ლუნაჩარსკის ვრცელი მოხსენება და მის ირგვლივ გაშლილი კამათი. საბჭოთა დრამატურგიის ამოცანებთან დაკავშირებით პლენუმმა დაამუშავა არა მარტო კერძოდ დრამატურგიის არამედ მარქსიზმ-ლენინიზმის თვალსაზრისით გააშუქა საბჭოთა მწერლობის შემოქმედებითი საკითხები—**სოციალისტური რეალიზმისა და რევოლიუციური რომანტიზმის საკითხები.**

საკავშირო საბჭოთა მწერლების ორგკომიტეტის მეორე პლენუმმა მოისმინა საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის სალიტერატურო ორგანიზაციათა მოხსენებები. პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც ამიერ-კავკასიის სალიტერატურო ორგანიზაციების და კერძოდ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მიერ ჩატარებული მუშაობა ძირითადში სწორად და დამაკმაყოფილებლად ხცნო.

პლენუმის რეზოლიუციაში ჩვენ მიღწევებთან და წარმატებებთან ერთად ხაზგასმითაა აღნიშნული ის ნაკლოვანებანი და შემაფერხებელი მომენტები, რომელთაც ადგილი აქვთ კერძოდ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში. პლენუმმა აღნიშნა, რომ ამიერ-კავკასიის ლიტერატურულ ორგანიზაციები და კერძოდ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში ჯგუფობრიობის ნაშთები გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე რომელიმე სხვა მოკავშირე რესპუბლიკაში. ეს გარემოება საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წინაშე აყენებს გარკვეულ ამოცანას, გააძლიეროს იდეურ პრინციპიალური ბრძოლა ჯგუფობრიობის საბოლოო აღმოსაფხვრელად და მწერლობაში ნამდვილი კონსოლიდაციის და მთლიანობის მისაღწევად. ასეთია პლენუმის პირდაპირი და გარკვეული დავალება. უნდა ითქვას, რომ ამ საკითხში ჩვენს ორგანიზაციას უკვე მოეპოვება გარკვეული მიღწევები. თვით ორგკომ. მე-2 პლენ. ამხ. **ბენ. ბუაჩიძის** გამოსვლა, რომელშიაც მან კატეგორიულად დაგმო თავისი ჯგუფობრივი პოზიციები და მოგვცა დაპირება, რომ ყოველმხრივ შეებრძოლებოდა ჯგუფობრიობას ყოველგვარ გამოხატულებას, — წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს ჯგუფობრიობის დაძლევის საქმეში საქართველოს საბჭოთა კავშირში ჯგუფობრიობის ლიკვიდაციის თვალსაზრისით აგრეთვე მნიშვნელოვან დოკუმენტად უნდა ჩაითვალოს **„ჩიკვაძე-ნაროუშვილის ჯგუფის"** განცხადება, რომელიც გამოქვეყნებული იყო „სალიტ. გაზეთის" № 8-ში.

რასაკვირველია აღნიშნული ფაქტებიდან არ შეიძლება იმ დასკვნის გამოყვანა, რომ თითქოს ჯგუფობრიობის ნარჩენები ჩვენს კავშირში ჯერ კიდევ საგრძნობი არ იყოს, ჯერ კიდევ მოგვეპოვება ჯგუფობრივ პოზიციებზე გაჯიუტებული ამხანაგები. მაგალითისათვის საკმარისია იმ ფაქტის დასახელება, რომ საკ. ორგკომიტეტის მეორე პლენუმზე გამოსულმა ამხ. პ. **ქიქოძემ** ვერ მოგვცა ჯგუფობრივი პოზიციებიდან განთავისუფლების ფაქტი, რის გამოც საკავშირო პლენუმმა საჭიროდ სცნო რეზოლიუციაში აღენიშნა პ. ქიქოძის ჯგუფობრივი მუშაობის შესახებ.

ამავე დროს ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ჯგუფობრიობის აღმოფხვრის საკითხში ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით მარტო განცხადებებით და დეკლარაციებით. საჭიროა ამ დეკლარაციების და განცხადებების ავტორებმა საქმით დაამტკიცონ, რომ ისინი მართლაც განთავისუფლდენ იმ შეხედულებებისაგან, რომლებიც მათ ჯგუფობრივ ჩარჩოებში ამწყვდევდენ და კავშირის ყოველდღიურ მუშაობაში ორგანიული მონაწილეობით იბრძოლონ პარტიის ხაზის გატარებისათვის ლიტერატურულ ფრონტზე.

ამასთან დაკავშირებით ჩვენ კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ჯგუფობრიობის რეციდივებს ადგილი აქვს არა მარტო პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ყოფილი წევრების მხრივ, არამედ საბჭოთა მწერლების **დანარჩენ ფენებშიაც**, რომელთაც უნდა აგრეთვე მოახდინონ ჯგუფობრივი ტრადიციებისაგან განიარაღება და გვიჩვენონ ნამდვილი გარდაქმნის მაგალითები.

საკავშირო ორგკომიტეტის მეორე გაფართოებულ პლენუმზე განსაკუთრებულად ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ დღევანდელი ეტაპზე დრამატურგია წარმოადგენს საბჭოთა ლიტერატურის ძირითად და უმთავრეს ჟანრს. ამიტომაც საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკებში საბჭოთა მწერლების მთელი მასა და მათი გაერთიანებული ორგანიზაციები ამჟამად თავისი ყურადღების ცენტრში დრამატურგიის საკითხებს აყენებენ.

პლენუმის რეზოლიუციაში აგრეთვე აღნიშნულია ის გარემოება, რომ საქართ. საბჭოთა მწერლობის კავშირმა სათანადოთ **ვერ გაშალა მუშაობა მასიურ ლიტერატურული მოძრაობის ხაზით.** ეს მითითება ავალებს ჩვენს ორგანიზაციას დაუყოვნებლივ მიაღწიოს გარდატეხას მუშათა ლიტერატურული წრეების მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში, აგრეთვე უნდა გაძლიერდეს მუშათა კლუბების და წარმოებათა ლიტერატურული მომსახურეობა, როგორც ტფილისში, ისე რესპუბლიკის ძირითად რაიონებში. განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მუშა-მწერლებს და ლიტერატურულ ახალგაზრდობას, რომელთაც დღეს-დღეობით არავითარი დახმარება არ ეძლევათ მათი საშემოქმედო კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში.

სრულიად სწორია პლენუმის მითითება იმის შესახებაც, რომ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა თავის მუშაობის ცენტრში ჯერ კიდევ ვერ დააყენა **შემოქმედებითი საკითხები.** ლიტერატურულ მშენებლობის დღევანდელ ეტაპზე წამოჭრილ თეორიულ პრობლემათა გარშემო დისკუსიის გაშლა, ცალკე მწერალთა ცოცხალი შემოქმედებითი საღამოების მოწყობა, კონკრეტული კრიტიკის გაძლიერება და მწერალთა მუშაობის იმეთ ფორმათა გამონახვა, რომელიც უზრუნველყოფს მათთვის ამხანაგური და იდეურ აღმზრდელობითი დახმარების გაწევას,—აი ეს საკითხები უნდა გადაიქცეს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მუშაობის განმსაზღვრელ საკითხებად.

საქართველოს საბჭოთა მწერლობის კავშირი 16 აპრილს იწვევს პირველ რესპუბლიკანურ თათბირს დრამატურგიის საკითხებზე, რომელმაც უნდა გაამახვილოს როგორც საბჭოთა მწერლების, და თეატრალურ მოღვაწეთა, ისე მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღება საბჭოთა დრამატურგიის, როგორც თეორიულ მეთოდოლოგიურ საკითხებზე, აგრეთვე დრამატურგიის კონკრეტულ შემოქმედებითი პრობლემებზედაც. თათბირმა უნდა მოგვცეს მარქსისტულ-ლენინური გადაჭრა დრამატურგიის თეორიული პრობლემებისა და ამ ნიადაგზე უნდა მოახდინოს ჩვენ დრამატურგთა პროდუქციის კონკრეტული და ღრმა ანალიზი.

ამ პროდუქციის ობიექტურ მეცნიერული განხილვა, თვითეული დრამატურგის შემოქმედებაში ანტიპროლეტარული გავლენების გამომჟღავნება, წითელი ხალტურის, შტამპისა და გაუბრალოების კონკრეტულ გამოხატულებათა მხილება ამხანაგური კრიტიკის ნიადაგზე და ამავე დროს იმ მიღწევათა აღრიცხვა და ფიქსაცია, რომელიც ჩვენ დრამატურგიას მოეპოვება, მოგვცემს შესაძლებლობას საქართველოს საბჭოთა დრამატურგიის განვითარების სწორი ხაზით წარმართვისათვის. მხატვრული ხარისხისათვის ბრძოლა უნდა გადაიქცეს თათბირის მუშაობის განმსაზღვრელ ლოზუნგად. თათბირმა უნდა მისცეს ძლიერი შემოქმედებითი იმპულსი ჩვენ დრამატურგებს, როგორც პროლეტარულ ძალებს, აგრეთვე იმ მწერლებს, რომელთაც ოქტომბრის წინადროინდელი მხატვრული ინტელიგენციიდან გვიჩვენეს გარდაქმნის გულწრფელი ცდები თავისი დრამატურგიული შემოქმედებით.

თათბირმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს სასოფლო დრამატურგიას და საკლუბო რეპერტუარის საკითხებს, რადგან ამ დარგში ჩვენ საქმე გვაქვს განსაკუთრებულ ჩამორჩენილობასთან.

დრამატურგიის საკითხებზე მოწვეული რესპუბლიკანური თათბირი უნდა შეეხოს აგრეთვე ჩვენი თეატრალური კრიტიკის მდგომარეობას და გამოამჟღავნოს მასში ვულგარიზაციის, ზედაპირულობისა და დამახინჯებათა ფაქტები. თათბირმა უნდა მოახდინოს დრამატურგების და საბჭოთა მწერლების ყურადღების მობილიზაცია, საკავშირო სახკომსაბჭოს და საქართველოს სახკომსაბჭოს მიერ გამოცხადებულ კონკურსების გარშემო საუკეთესო დრამატურგიულ ნაწარმოებზე.

საკავშირო ორგკომიტეტის მეორე გაფართოებული პლენუმის მითითებათა ბოლომდე [illegible] რეალიზაციით, დრამატურგიის საკითხების ირგვლივ საბჭოთა მწერლების მთელი მასის ყურადღების დარაზმვით, შემოქმედებითი დისკუსიის გაშლით, მხატვრული პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლით, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა უნდა მიაღწიოს ახალ გამარჯვებებს პარტიის 23 აპრილის დადგენილების განხორციელების საქმეში. ამ გამარჯვებით უნდა წარსდგეს საქართველოს საბჭოთა მწერლობა საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო ყრილობის წინაშე.

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის საბჭოს სხდომა

8 აპრილს, საღამოს ამხ. **მალაქია ტოროშელიძის** თავმჯდომარეობით შესდგა მწერალთა კავშირის საბჭოს გაფართოებული სხდომა მწერალთა აქტივთან ერთად.

საბჭომ მოისმინა ამხ. შ. დუდუჩავას მოხსენება და საქ. საბჭ. მწერლების დელეგატების—ამხ. ბ. ჟღენტის და ნ. მიწიშვილის თანამოხსენებები საბჭოთა მწერლების სრულიად საკავშირო ორგკომიტეტის მეორე პლენუმის შედეგების შესახებ.

მოხსენებათა მოსმენის შემდეგ ერთხმად მიღებული იქნა რეზოლიუცია, რომელიც იწონებს საკავშირო ორგკომიტეტის დადგენილებას ამიერ-კავკასიის სალიტერატურო ორგანიზაციების, კერძოთ საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის მუშაობის შესახებ.

მწერალთა საბჭოს გაფართოებულმა სხდომამ აქტივთან ერთად, თავის მოვალეობიდაგან განთავისუფლა ამხ. ს. ეული, მისი შემოქმედებითი შვებულებაში წასვლის გამო, კომფრაქციის წინადადებით—საბჭომ საქ. საბჭოთა მწერ. კავშირის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ ერთხმად აირჩია ამხ. **პ. მ. საყვარელიძე.**

საბჭოს პრეზიდიუმში ამხ. პ. მ. საყვარელიძის გარდა, კოოპტაციის წესით შეყვანილ იქნენ დრამატურგთა სექციის თავმჯდომარე ამხ. პ. სამსონიძე და ამხ. შ. დუდუჩავა.

რეზოლიუცია

სრ. საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის საბჭოს და აქტივის გაერთიანებული სხდომა, რომელმაც მოისმინა ამხ. შ. დუდუჩავას მოხსენება საბჭოთა მწერლების საკავშირო ორგკომიტეტის მეორე პლენუმის შედეგების შესახებ, მთლიანად იწონებს და უერთდება პლენუმის მიერ ამიერ-კავკასიის სალიტერატურო ორგანიზაციების მოხსენებათა გამო მიღებულ რეზოლიუციას.

სცნობს რა სწორად პლენუმის მითითებას საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მიერ მასიურ-ლიტერატურული მოძრაობისადმი არასაკმარისი ყურადღებისა და ხელმძღვანელობის შესახებ, სხდომა ავალებს პრეზიდიუმს და მის მომუშავე ორგანიზაციებს.

1. გააძლიეროს მუშათა ლიტწრეების მუშაობა, მათთვის კვალიფიციური ხელმძღვანელთა შერჩევით, მათთვის საპროგრამო-მეთოდიური მასალების დაუბრკოლებლად მიწოდებით და მუშაობის სხვა აუცილებელ პირობათა შექმნით.

2. მიაღწიოს იმ მდგომარეობას, რომ თბილ. მუშათა კლუბებში და წარმოებებში სისტემატიურად იმართებოდეს ლიტერატურული საღამოები, დისპუტები, და შემოქმედებითი საღამოები.

3. უზრუნველყოს დამწყებ და მუშა-მწერლებისათვის ლიტერატურული კონსულტაცია და შემოქმედებით-აღმზრდელობითი დახმარება.

4. იმ მიზნით, რომ დრამატურგიის საკითხების ირგვლივ დაირაზმოს მწერალთა უფართოესი მასების ყურადღება, სხდომა ავალებს პრეზიდიუმს დააჩქაროს მწერალთა კავშირთან დრამატურგთა სექციის ჩამოყალიბება, რომელსაც შეუქმნის პირობები ფართო იდეურ-შემოქმედებითი მუშაობისათვის. აგრეთვე უახლოეს დროში პრეზიდიუმმა მოიწვიოს რესპუბლიკანური თათბირი დრამატურგიის საკითხებზე, როგორც მწერლებისა და დრამატურგების, აგრეთვე თეატრებისა და მუშათა კლუბების ხელმძღვანელთა მონაწილეობით.

5. იზიარებს რა საკავშირო ორგკომიტეტის მითითებას, საქართველოს საბჭოთა მწერლების ორგანიზაციაში ჯგუფობრიობის ნაშთების არსებობის და მასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ, სხდომა საჭიროდ სცნობს იდეურ-პრინციპიალური შეურიგებლობით განაგრძოს ბრძოლა ჯგუფობრიობის ყველა ნარჩენების აღმოსაფხვრელად.

სთვლის რა გარკვეულ მიღწევად ჯგუფობრიობის დაძლევის საქმეში ამხ. ბენიტო ბუაჩიძის გამოსვლას საკავშირო პლენუმზე და აგრეთვე „სალიტ. გაზეთში" გამოქვეყნებულ „ჩიკვაძე-ნაროუშვილის" ჯგუფის განცხადებას, სხდომა მოითხოვს აღნიშნული ამხანაგებისაგან კავშირის ხელმძღვანელობისათვის პრაქტიკული დახმარების გაწევით ხელი შეუწყონ ჯგუფობრიობის საბოლოო ლიკვიდაციას და პარტიის ისტორიული დადგენილების წარმატებით განხორციელებას.

ამავე დროს სხდომა ავალებს პრეზიდიუმს შეუქმნას მუშაობის ამხანაგური ატმოსფერა ყველა იმ ამხანაგს, ვინც საქმით ხელს უწყობს პარტიის ხაზის ირგვლივ საბჭოთა მწერლობის სრული კონსოლიდაციის საქმეს.

6. სხდომა ავალებს პრეზიდიუმს დაამუშაოს საკავშირო ორგკომიტეტის მეორე პლენუმის შედეგები კავშირის განყოფილებებში და აგრეთვე ამ თადითვე შეუდგეს სამზადისს საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო ყრილობისათვის.

პ. საყვარელიძე
საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გავაჯანსაღოთ ხელმძღვანელობა სალიტერატურო წრეებზე

მწერალთა კავშირის ყოველდღიური მუშაობის, ლიტერატურული მოძრაობის მშრომელ მასებთან დაკავშირების ტემპებს და ხარისხს—უპირველესად ქარხანა-ფაბრიკებში და მუშათა კლუბებში ლიტერატურული წრეების ჩამოყალიბება და მათი შემოქმედებითი ორგანიზაცია გვიჩვენებს.

პარტია ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა და აქცევს ხელოვნების სხვადასხვა დარგებში—**კადრების დაწინაურებას მუშათა ფენებიდან, უკანასკნელი კი, ლიტერატურული წრეების და მწერალთა კავშირის უპირველესი ამოცანა და პირდაპირი მოვალეობაა.**

საქართველოს საბჭოთა მწერლების პირველი [illegible] კავშირის პლენუმმა მომავალ სამუშაო გეგმაში, განსაკუთრებულ პუნქტად შეიტანა საწრეო მუშაობის მასიურად გაშლა-გაღრმავება ქარხანა-ფაბრიკებში, მუშათა კლუბებში და ლიტერატურულ ფრონტზე დამკვრელ მუშათა გაწვევის უფრო სწორი ორგანიზაცია, ვიდრე ეს იყო პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის არსებობის დროს.

გეგმა რეალური იყო და არის, მისი განხორციელება მწერალთა კავშირის მოქმედებაზე და, რაც მთავარია—უნარზეა დამოკიდებული.

მიუხედავად გარდატეხისა ამ დარგში ჯერ კიდევ საკმაოდ დიდი დეფექტებია.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოთა მთავარ უბნებში, უშუალოდ ქარხანა-ფაბრიკებში, ლიტერატურული წრეები ტფილისის მაშტაბით, თითქმის არ არსებობენ. როგორც გამოირკვა, „ოდესღაც", მიმდინარე წლის დაწყებამდე მუშათა ლიტერატურული წრეები ჩამოყალიბებული იყო და „ასე თუ ისე" მუშაობდენ მაუდისა და აბრეშუმის საბჭოთა ფაბრიკებში, მაგრამ მწერალთა კავშირისაგან არა ოპერატიული ხელმძღვანელობის წყალობით ეს წრეები „უცოდველად გარდაიცვალენ" და მის ხელმეორედ აღდგენაზე არავის უზრუნვია.

ლიტერატურული წრეები პირველ რიგში უნდა ჩამოყალიბდეს უშუალოდ საწარმოებში, ქარხანა-ფაბრიკებში—ასეთია ჩვენი ლოზუნგი,—ჩვენი მუშაობის სინამდვილე კი საწინააღმდეგო ფაქტზე მიგვითითებს.

მაგრამ უბედურება და კიდევ უფრო სამწუხარო ის არის, რომ მუშათა კლუბებთან უკეთ, მუშათა რაიონებში არსებულ კლუბებთან,—ჩამოყალიბებული ლიტერატურული წრეების მუშაობის ხარისხი ძალზე დაბალია და გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მუშათა გაზრდილ მოთხოვნილებებს ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს.

წრის მუშაობის ხარისხი, უმთავრესად, ხელმძღვანელის უნარზე და ხარისხზეა დამოკიდებული. „სალიტერატურო გაზეთი"-ს ბრიგადის მიერ ლიტერატურული წრეების მუშაობის გამოკვლევამ დაადასტურა, რომ ამ მხრივ მდგომარეობა მაინც და მაინც სახარბიელო არ არის. წრეების მეცადინეობაზე ჩვეულებრივად, ხშირ გამოუცხადებლობასთან ერთად, ხელმძღვანელების მიერ ადგილი აქვს თემების სუსტად, ზერელედ დამუშავებას და თუ შეიძლება ითქვას—უჩვეულო ხალტურას. მაგალითად, **პლეხანოვის სახელობის კლუბთან** (ლენინის რაიონი) არსებულ ლიტერატურული წრის პირველ მეცადინეობაზე მოხსენება ჩატარდა „თერგდალეულები"-ს შემოქმედებაზე, ხოლო მეორე მეცადინეობის დროს გარჩეული იქნა თანამედროვე მწერლობა, ლიტერატურული ფრონტის ახლანდელი ეტაპი. მუშათა ასეთ [illegible] წრის წევრების შეგნებაში [illegible] ერთიმეორეში ქაოსი და [illegible] და რაც მთავარია, მათ საშუალება არ ეძლევათ გულდასმით და დაწვრილებით შეისწავლონ ქართული ლიტერატურის ვითარება [illegible] პერიოდები, [illegible] **ნიონ და დაიმახსოვრონ განსხვავებაი ძველსა და ახალ მწერლობას შორის.**

რა იწვევს ასეთ მდგომარეობას?

პასუხი თავისთავად ცხადია—სამუშაო გეგმების, პროგრამების უქონლობა.

ლიტერატურული წრეების დაარსებიდან [illegible] დაი ელოდებიან სტაბილურ სამუშაო გეგმას მწერალთა კავშირიდან, მაგრამ ამაოდ, ეს ოცნებები ქიმერიულად [illegible] ოცნებებათ დარჩა.

მდგომარეობის ასე გაგრძელება ყოვლად შეუძლებელია. საჭიროა დაჩქარებით იქნეს შედგენილი სასწრაფო ღონისძიებანი და მუშათა ლიტერატურულ წრეებს უახლოეს ხანში მიეცეს მტკიცე თუ არა, დროებითი სამუშაო გეგმა მაინც.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ლიტერატურულ წრეების ხელმძღვანელთა მუშაობის ხარისხს. ამასთანავე, აღსანიშნავია ისიც, რომ პლეხანოვის სახელობის კლუბთან არსებულ ლიტერატურული წრის შემადგენლობა ძალზე ჭრელია. მუშებთან ერთად ამ წრეში თავმოყრილია სტუდენტები, მოწაფეები და სხვა პროფესიის ხალხი. წრის ასეთი შემადგენლობა აფერხებს წრის მუშაობის წარმატებას და ნაწილობრივ ხელს უშლის წრეში მუშების მოზიდვას. წრის ხელმძღვანელმა მხედველობაში უნდა მიიღოს ეს გარემოება და წრის მუშაობა უმთავრესად უნდა შეუფარდოს წრეში გაერთიანებულ მუშების მოთხოვნას და განვითარების დონეს.

მიუხედავად ამ დეფექტებისა, პლეხანოვის სახელობის კლუბთან არსებული ლიტერატურული წრე სხვა წრეებთან შედარებით, უკეთ მუშაობს. დღემდე ჩატარდა რამდენიმე მოხსენება ცალკე მწერლების შემოქმედებაზე და ნაწარმოებებზე. წრის მეცადინეობაზე სისტემატიურად ირჩევა წრის წევრების, ლექსები, მოთხრობები და სხვა—საერთო ჯამში, წრის მიერ დამუშავებული საკითხები და თემების რიცხვი ოცამდე აღწევს.

შედარებით კარგი მდგომარეობაა **ტრამვაის მუშათა კლუბთან არსებულ ლიტერატურულ წრეში,** მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ხანებში წრის მეცადინეობა სისტემატიურად არ სწარმოებს. პროგრამების და ოპერატიული სამუშაო გეგმას მხრივ აქაც ისეთივე მდგომარეობაა, რაც პლეხანოვის კლუბთან არსებულ ლიტერატურულ წრეში.

სტალინის სახელობის კლუბთან არსებული ლიტერატურული წრე სულ აერთიანებს 12 წევრს. წევრთა ასეთი რაოდენობა თავისთავად ლაპარაკობს წრის და ხელმძღვანელის სუსტ მასიურ მუშაობაზე. სტალინის კლუბის ლიტერატურული წრე აერთიანებდა 12 კაცს,—როცა ამ კლუბში თავს იყრის რაიონის მუშათა საკმაოდ დიდი რაოდენობა —[illegible] და მოუთმენელი ახალგაზრდობა.

ტრამ.—განსაკუთრებით სხვა წრეების მუშაობასთან განსხვავებით, გამოუშვა ლიტერატურული კედ. გაზეთის სამი ნომერი. ეს უსათუოდ წრის მუშაობის დადებით და მისაბაძ მხარედ ჩაითვლება.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ **ლიტერატურულ წრეების მუშაობაში არა სათანადო სიმაღლეზე სდგას და ზოგჯერ მივიწყებულია—უმთავრესი ამოცანა—შემოქმედებითი მუშაობის გაშლა წრის წევრთა შორის.**

ეს ფაქტი მიგვითითებს, რომ წრის ხელმძღვანელთა უმრავლესობას სწორად არ აქვს გაგებული მუშათა ლიტერატურული წრეების დანიშნულება.

არ კმარა წრეში გაერთიანებულ მუშების ნაწარმოებთა მარტოოდენ განხილვა, საჭიროა ზრუნვა მათი გამომჟღავნებისა და დაბეჭდვისათვის ჩვენს პერიოდულ ჟურნალ-გაზეთებში. ამ მხრივ განსაკუთრებული **როლი ეკისრება მწერალთა კავშირთან არსებულ ლიტერატურულ კაბინეტს, მაგრამ, როგორც ამ კაბინეტის მუშაობის პრაქტიკა გვიჩვენებს,—ის თვითონ საჭიროებს დახმარებას.**

ლიტერატურულ წრეებმა დღემდე ძალზე მცირე და თითქმის უმნიშვნელო მუშაობა ჩაატარეს საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის ისტორიული დადგენილების პოპულარიზაციისათვის მშრომელთა ფართო მასებში. არც ერთი სალიტერატურო წრის ინიციატივით და ხელმძღვანელობით, არც ერთ ქარხანა-ფაბრიკაში, მუშათა გაერთიანებულ კრებებზე არ ჩატარებულა მოხსენება იმ ისტორიული დადგენილების მნიშვნელობის შესახებ, რომლის ძალით ლიკვიდაციაქმნილ იქნა პროლეტმწერალთა ასოციაციები და დაარსდა საბჭოთა მწერლების ერთიანი კავშირი. ეს რბილად რომ ვსთქვათ, უპასუხისმგებლობაზე და პირდაპირი მოვალეობის უცოდინარობაზე მიგვითითებს.

დასკვნა:

ლიტერატურული წრეების მუშაობა სუსტი ხელმძღვანელობის შედეგათ, სამუშაო გეგმების უქონლობის და ხელმძღვანელთა უმრავლესობის უუნარო მუშაობის შედეგათ,—ძალზე დაბალ დონეზე სდგას.

წრეების მუშაობის მიმართ უყურადღებობას იჩენს პროფკავშირები,—უკანასკნელი სათანადოთ არ ზრუნავს წრეებში მუშების მოზიდვისა და ხელმძღვანელთა დამაგრებისათვის.

მწერალთა კავშირმა გადამჭრელ ღონისძიებათა მიღებით უახლოეს ხანში უნდა უზრუნველყოს უშუალოდ საწარმოებში, ქარხნებში და ფაბრიკებში ლიტერატურულ წრეების ჩამოყალიბება. სამუშაო გეგმების შედგენა და ხელმძღვანელობის გაძლიერება წრეებზე. საჭიროა ლიტერატურულ წრეების შემადგენლობის გადასინჯვა და ბრძოლა მუშათა ბირთვის გაზრდისათვის. მხოლოდ ამ ღონისძიებათა გატარებით შევსძლებთ ჩვენ პარტიის მიერ დაკისრებულ მოვალეობის—ხელოვნების ფრონტზე მუშათა კადრების დაწინაურების განხორციელებას.

„სალიტერატურო გაზეთი"-ს ბრიგადა.

მივაღწიოთ სრულ გარდატეხას

ა. კ. ლიტორგანიზაციების მუშაობაში

ს. ს. რ. კავშირის საბჭოთა მწერლების ორგკომიტეტის მეორე პლენუმის რეზოლუცია

1. ს.ს.რ.კ.-ის საბჭოთა მწერლების ორგკომიტეტის მეორე გაფართოებული პლენუმი, რომელმაც მოისმინა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის, სომხეთის და აზერბეიჯანის ორგკომიტეტების მოხსენებები და ამხ. კულიკის თანამოხსენება ამიერ-კავკასიის ლიტერატურული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ, აღნიშნავს, რომ საქ. კ.პ. (ბ) ც.კ.-ის 23 აპრილის დადგენილება გახდა მძლავრი სტიმული ამიერ-კავკასიის ძმურ რესპუბლიკების მწერლობის ძლიერი შემოქმედებითი ამაღლებისა და აყვავებისათვის, გააერთიანა რა საბჭოთა მწერლების უმრავლესობა პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების გარშემო ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური მაღალი მხატვრული ლიტერატურისათვის საბრძოლველად.

2. საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის საბჭო, სომხეთისა და აზერბეიჯანის ორგკომიტეტები, რომლებიც ძირითადში სწორად ახორციელებენ თავიანთ პრაქტიკულ მუშაობაში საქ. კ.პ. (ბ) ც.კ.-ის დადგენილებას, თავის გარშემო გააერთიანებენ თავიანთი რესპუბლიკების ყველაზე მოწინავე, საუკეთესო ნიჭიერ მწერლებს (ამიერ-კავკასიის სალიტერატურო ორგანიზაციების კომუნისტურმა ფრაქციებმა შესძლეს კომუნისტ მწერლების ძირითად კადრების შემჭიდროება) უზრუნველყოფენ რა ამ საფუძველზე სწორი ხელმძღვანელობა უპარტიო მწერლებზე და პრო[illegible]ტერატურის წამყვანი როლის განმტკიცება.

3. ამასთან სრულიად საკავშირო ორგკომიტეტის პლენუმი აღნიშნავს ჯერ კიდევ მთლიანად დაუძლეველ ჯგუფობრიობის ნაშთების არსებობას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სალიტერატურო ორგანიზაციების, განსაკუთრებით საქ. საბჭოთა მწერლების კავშირში (ამხ. ქიქოძის ჯგუფი) და რამდენიმედ, სომხურ ორგანიზაციაშიც. საქართველოს, სომხეთისა და აზერბეიჯანის სალიტერატურო ორგანიზაციების ხელმძღვანელობამ ბოლომდე უნდა გააგრძელოს ჯგუფურ განწყობილებათა გამომჟღავნება, რა სახითაც არ უნდა იჩენდეს იგი თავს და საბოლოოდ დარაზმოს ყველა საბჭოთა მწერალი გამოუკლებლად პარტიის ხაზის გარშემო სამხატვრო ლიტერატურაში. სალიტერატურო მოძრაობის ძირითადი საკითხების (კერძოთ და განსაკუთრებით სოციალისტური რეალიზმის, რევოლუციონური რომანტიკის, დრამატურგიის ამოცანების) გარშემო ფართო შემოქმედებითი და თეორეტიული მუშაობის საფუძველზე, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მწერალთა ხელმძღვანელი ორგანიზაციები გადამწყვეტ ბრძოლას უნდა აწარმოებდენ როგორც ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური, ისე „მომემარცხენო" ხასიათის ჯგუფურ [illegible] განწყობილებების გამომჟღავნებასთან.

4. სრულიად საკავშირო ორგკომიტეტი საქ. საბჭ. მწერლების კავშირის, სომხეთის და აზერბეიჯანის ორგკომიტეტების ყურადღებას მიაქცევს იმაზე, რომ საჭიროა მასიური ლიტერატურული მოძრაობის დარგში მუშების, კოლმეურნეობის და წითელარმიელის წრიდან გამოსულ ახალგაზრდა და დამწყებ მწერლებთან მუშაობის ყოველმხრივი გაძლიერება. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირს ამ დარგში უფრო მეტი მიღწევები აქვს, ვიდრე სომხეთს, მით უმეტეს აზერბეიჯანის ორგკომიტეტს, მაგრამ იქაც ეს მუშაობა სავსებით მოგვარებული არ არის და არც სისტემატიურად სწარმოებს.

ამასთან ერთად ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სალიტერატურო ორგანიზაციებმა უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ, ვიდრე დღემდე აქცევდენ, მწერლებთან და კრიტიკოსებთან შემოქმედებითი მუშაობის ორგანიზაციას. (შემოქმედებითი საღამოები, ახალნაწარმოებების წაკითხვა, კრიტიკული მოხსენებები, შემოქმედებითი მივლინებები; დამკვრელებთან, სამეურნეო მუშაკებთან, საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან და წითელარმიისათან მწერლების შეხვედრის ორგანიზაცია).

5. ს.ს.რ. კ.-ის ძმური რესპუბლიკების მწერლობის ურთიერთ გაცნობის და ურთიერთ-კავშირის განმტკიცების მიზნით პლენუმი წინადადებას აძლევს ორგკომიტეტის პრეზიდიუმს მოაწყოს შემოქმედებითი გამოცდილების გასაზიარებლად და მუშაობაში ურთიერთ დასახმარებლად სხვადასხვა რესპუბლიკების მწერალთა გასვლითი ბრიგადები. პლენუმი ავალებს ორგკომიტეტის პრეზიდიუმს გამომცემლობათა წინაშე ფართოდ დააყენოს ს.ს.რ.კ.-ის ხალხების ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებთა თარგმნისა და მათი ალმანახებად და ცალკე კრებულებად გამოცემის ორგანიზაციის საკითხი, აღკვეთოს ამ საქმეში შემთხვევითობისა და კუსტარობის ელემენტები.

6. საბჭოთა ლიტერატურის ცალკე რაზმებს შორის კავშირის გასაძლიერებლად, ერთმანეთის უკეთ გასაცნობად და ერთიანი სრულიად საკავშირო ხელმძღვანელობის განსამტკიცებლად პლენუმი სრულიად საკ. ორგკომიტეტის პრეზიდიუმს ავალებს ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე აღძრას შუამდგომლობა ისეთ სალიტერატურო, სამხატვრო და კრიტიკული ჟურნალის გამოცემის შესახებ, სადაც დაიბეჭდება ს.ს.რ.კ-ის ხალხების ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებნი და დამუშავდება სალიტერატურო მოძრაობის უმნიშვნელოვანესი თეორეტიული საკითხები. პლენუმი ავალებს პრეზიდიუმს ხელმძღვანელ ორგანოების წინაშე დასვას საკითხი ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებისათვის იმ ერთი ჟურნალის გამოცემის შესახებ, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის მწერლობის შემოქმედებითი მუშაობას და უზრუნველყოფს მასზე ხელმძღვანელობას.

ს.ს.რ. კ-ის ხალხების ლიტერატურის და საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ლიტერატურულ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების შესასწავლად პლენუმს საჭიროდ მიაჩნია სპეციალური მუშაკების გამოყოფა სრულიად საკავშირო ორგკომიტეტის პრეზიდიუმის აპარატში.

კონკურსი საუკეთესო პიესაზე

საქ. სახ. კომისართა საბჭოს დადგენილება

სახალხო კომისართა საბჭო აძლევს რა განსაკუთრებულ მნიშვნელობას თეატრს, როგორც მშრომელთა ფართო მასების პოლიტიკურ აღზრდის ერთ-ერთ უძლიერეს საშუალებას, ადგენს:

1) იმ მიზნით, რომ შეიქმნას მაღალი ხარისხის მხატვრული სათეატრო პიესები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მასების სოციალისტურ აღზრდას, გამოცხადდეს საქართველოს მწერალთა კონკურსი საუკეთესო სათეატრო პიესაზე ქართულ ენაზე (თემები მწერლების არჩევით, სახელმწიფო და პროფესიონალურ თეატრებისათვის და აგრეთვე თვითმოქმედებითი წრეებისათვის).

2) კონკურსისათვის წარმოდგენილ საუკეთესო დრამატულ ნაწარმოების დასაჯილდოვებლად დაწესდეს ხუთი პრემია: ერთი პირველი პრემია—5.000 მან.; ორი მეორე პრემია—3.000 მან. ორი მესამე პრემია —2.000 მან.

პიესების წარმოდგენის ვადა დაწესდეს 10 ოქტომბერი.

3) კონკურსისათვის წარმოდგენილ პიესების განსახილველად და პრემიების გასანაწილებლად დაინიშნოს ჟიური შემდეგი შემადგენლობით: ამხ. **ქ. ორაგველიძე,** (თავმჯდომარე), **ბედია ერ.** (განსახკომი), **ტოროშელიძე მ.** (საქ. საბჭოთა მწერ. კავშირის თავმჯდომარე), **დუდუჩავა ა.** (ჟიურის თავმჯდომარის მოადგილე, ხელოვნებისა და ლიტერატურის სექტორის გამგე), **იმედაძე შ.** (საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის კულტპროპგანყოფილების გამგე), **შარია პ., ქ. მარჯანიშვილი** (სახ. თეატრის ხელმძღვანელი), **ახმეტელი ალ.** (რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელი), **[illegible]რაძე დ.** („სალიტერატურო გაზეთი"-ს პ. მგ. რედაქტორი).

4) წინადადება მიეცეს განათლების სახ. კომისარიატს ხუთი დღის განმავლობაში შეიმუშაოს კონკურსის ჩატარების წესები და ინსტრუქცია.

საქ. ს.ს.რ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე: **გ. მგალობლიშვილი.**
საქმეთა მმართველი: რ. შომახია.

დემიან ბედნის

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მისალმება დაბადებიდან 50 წ. თავზე

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ ესალმება პროლეტარიატის მწერალს, პოეტს ამხ. **დემიან ბედნის,** მისი დაბადებიდან 50 წლისათვის შესრულების დღეს.

თავისი ნაწარმოებებით ამხ. დემიან ბედნიმ უდიდესი სამსახური გაუწია მუშათა კლასს და მშრომელ გლეხობას მათ ბრძოლაში მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ, მათ ბრძოლაში იმპერიალისტურ ინტერვენტებზე გამარჯვებისათვის.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი გამოსთქვამს რწმენას, რომ დემიან ბედნი თავისი დიდი ლიტერატურული ნიჭით მომავალშიაც გაუწევს სამსახურს კომუნიზმის უდიდეს საქმეს.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი

პ. ქიქოძე

პ. ჩხიკვაძე—„რომანტიული ამბავი“

(ჟურნ. „საბჭოთა მწერლობა“ № 1—2

პანტელეიმონ ჩხიკვაძის „რომანტიული ამბავი“ (დაიბეჭდა „საბჭოთა მწერლობა-ში“) **სწორი არჩევანის** მაჩვენებელია, ის ამ რევოლიუციონური რომანტიზმის და პრობლემური ხელოვნების განვითარების ერთ-ერთი წინასწარი ნიშანია.

რა არის ამ ნაწარმოებში „რომანტიული“?!!

აქ დიდი მეცნიერული გატაცებით შეპყრობილი გმირის აღმასვლაა მოცემული. მისი (ხანდაველის) **გმირობა** სრულიადაც არ არის ფუჭი ილიუზია: ეს გრანდიოზული გარდამქმნელი **ოცნება**, რომლითაც ის თითქმის ბავშობიდან სცხოვრობს — მეცნიერულად ზუსტია. თვით „რომანტიული ამბავის“ მოქმედება **მომავალში** და არა აწმყოსა ან წარსულში ხდება. ეს **მხატვრის ახლო** მომავლის სამეფოში შეჭრაა, როცა მთავარი ცენტრი ყოველგვარი ბრძოლისა ტეხნიკაში იქნება გადატანილი, როდესაც თითქმის მთავარი თემა უკვე ბუნებასთან ბრძოლა იქნება.

ამ ნაწარმოების ერთ-ერთი მომენტი დიდი **ინტერნაციონალური** იდეის მატერიალური დასაბუთებაა — სახელდობრ ორი ქვეყნის გრანდიოზული გვირაბით შეერთება, ხანდაველი იბრძვის ამ იდეის გატარებისათვის. მაგრამ აქ ის სერიოზულ **სიძნელეებს ხვდება**. ან მართლაც ვის შეუძლია იყვეს იმდენად რომანტიული (ამ სიტყვის ცუდი გაგებით) და იფიქროს, თითქოს დიდი შენება და გმირული ბრძოლა სიძნელეებით არ იქნება გართულებული. საჭიროა მხოლოდ იმ სიძნელეების აცილება, რომელთა წინასწარი გათვალისწინება შეიძლება.

ხანდაველი მტკიცეთ არის დარწმუნებული თავისი ოცნების აბსოლუტურ რეალობაში, მაგრამ როდესაც ის მის მიერ არ გათვალისწინებულ სიძნელეებს დაეჯახა — სწორედ აქ ამ ფონზე წარმოიშვა **ტრაგედია**.

დიახ ტრაგედია!

ნუ შეეშინდება მკითხველს ამ თითქოს მოძველებული სიტყვისა და ნუ დაიწყებენ ფუსფუსს ყოველგვარი „მემარცხენე“ ვულგარიზატორები—თითქოს ჩვენ ლიტერატურაში შეუძლებელია ტრაგედიის მოცემა.

საიდან წარმოიშობა ამ შემთხვევაში ეს **ტრაგედიად ქცეული პრობლემა და პრობლემა ტრაგედიისა?**

აქ ტრაგედია წარმოიშვა ზუსტი მეცნიერებისადმი ურღმესი რწმენის ერთი მხრივ და მეორე მხრივ ამ მეცნიერების გზით მიღებული სრულიად სწორი გეგმის ამ მომენტში (გმირის თვალთა ხედვით) გატარების შეუძლებლობიდან. გეგმის გატარების შეუძლებლობაში კი, მიუხედავად მისი სისწორისა — ხანდაველი რწმუნდება **მოულოდნელი** კატასტროფების გამო და სწორედ ეს არის მისი ტრაგედია. სწორია, მაგრამ ერთ და იმავე დროს არ არის სწორი —ეს ნამდვილი გამოუვალი მდგომარეობა, რომელიც **ხანდაველის აზრით** იქმნება. ამიტომ ეს „ჩიხი“, **მხოლოდ ინდივიდუალური ტრაგედიაა.**

რატომ?

იმიტომ რომ ერთი მხრივ ხანდაველს საქმე აქვს მისივე, მეცნიერულად სრულიად სწორი იდეასთან (გვირაბის გათხრა). მაგრამ მეორე მხრივ მას ისეთი სიძნელეები შეხვდა, რომლის გათვალისწინება მან (და არა მეცნიერებამ) მისი აზრით, ვერ შესძლო („რომანტიულ ამბავის“ ბოლოში ჩვენ ვხედავთ, რომ ხანდაველი თურმე არც კი შემცდარა, რომ თურმე ეს შეცდომა კი არა, არამედ მისი მხოლოდ **გაუგებრობა** იყო).

ხანდაველის ლოგიკა ასეთია: გრანდიოზული ოცნება, რომელზედაც მოსახლეობა ასეთ დიდ იმედებს ამყარებს, მეცნიერულად სრულიად რეალური იდეა გვირაბისა მე, დროებით მაინც, დავღუპე.

ამ იდეის განხორციელების პირველ ცდას, რომელიც მომავალში აუცილებლად გაიმარჯვებს მიუხედავად ეხლანდელი მარცხისა—სახელი გაუტეხე.

მე გავაფლანგვინე ჩემ რესპუბლიკას ამდენი ძალა და ღონე. მე დავღუპე ამდენი ადამიანის სიცოცხლე (კატასტროფებისას) და ა. შ.

ბოლშევიკი კი ვალდებულია წინასწარ მეცნიერულად გაითვალისწინოს მთავარი შესაძლებელი სიძნელეები და მაქსიმალურად აცდინოს თავის კლასს ამ სიძნელეთა თავდასხმა. ჩემივე იდეის გატარება მე ვერ შევძელი, ამით დროებით დავღუპე არა მარტო ჩემივე სწორი იდეა, არამედ თავისი თავიც. სწორია, მაგრამ სწორი არ არის სწორი მოვლენის გამმრუდებელი კი ხომ თვითონ სწორი მოვლენა არ იქნება. სწორის გამმრუდებელი მე ვარ. ეს კი ჩემთვის, როგორც მეცნიერი მებრძოლისათვის (და მე კი რაღა ვარ მებრძოლის გარდა?) სიკვდილია... სიკვდილი საზოგადოებრივი, იდეური და მეცნიერული კი სწყვეტს ფიზიკური არსებობის საკითხს. აქედან **თვითმკვლელობის იდეა.**

ამრიგად ამ შემთხვევაში თვითმკვლელობის იდეა **არა დაცემულობის** ფონზე წარმოიშობა, როგორც ეს საერთოდ ხდება ხოლმე. ეს თავისთავად რა თქმა უნდა შემცდარზე შემცდარი იდეაა. ამ მდგომარეობაში საერთოდ ჯანსაღი ფონი იშლება.

— პარადოქსია — იტყვის მკითხველი!

— ნუთუ არ იცით — ვუპასუხებთ ჩვენ —რომ **მწუხარება ყოველთვის დაცემულობას არ მოასწავებს**. ვისაც ასე ჰგონია, მას არაფერი ესმის **ჩვენი** ოპტიმიზმისა, მას ოპტიმიზმი **კაზიონურად** და ჩინოვნიკურად გაუგია.

ზედმეტია ლაპარაკიც კი, თითქოს ხანდაველს სიძნელეების შეშინებია. მისი მწუხარება უმაღლეს წერტილამდე ადის არა თვით კატასტროფის გავლენით. კატასტროფები მხოლოდ **საბაბია**. ამ ფონზე წარმოიშვა ხანდაველის შემცდარი, მაგრამ იმ მომენტში მისთვის ურყევი აზრი, თითქოს მისი მეცნიერული ძალა არასაკმარისი აღმოჩნდა მისივე მეცნიერულად **სწორი** დგინა თითქოს სწორი და ზუსტი მეცნიერებისადმი და თავისი კლასის ძალებისადმი ჯანსაღი რწმენის გვერდით ერთი წუთით ამოტივტივდა ხანდაველის რწმენა თავის სასტიკ დამარცხებაში—ამიტომ ისევ და ისევ თვითმკვლელობის გზას ადგება ჩვენი გმირი.

ვამართლებთ თუ არა ჩვენ ამ თვითმკვლელობას?

განა უნდა ამას მტკიცება, რომ არა და არა!

მაგრამ ჩვენ სავსებით ვიწონებთ ჭაბუკი რევოლიუციონური მეცნიერების საქმისადმი იმ გაფთრებულ თავდადებას, იმ ურღმეს რწმენას და გამბედაობას, რომლის დროებითმა, მაგრამ სასტიკმა დამარცხებამ (როგორც ხანდაველს გონია) — თვითგანადგურების აზრამდე მიიყვანა იგი.

ყოველთვის ცამდის მართალი ხანდაველი სწორედ აქ შეცდა, როდესაც წარმოიდგინა თითქოს სწორი და ზუსტი მეცნიერული ოცნება შეიძლება (თუ გინდ დროებით) დამარცხდეს და ისიც პროლეტარიატის პირობებში. ხანდაველი მოტყუვდა სწორედ იქ, სადაც მან ეჭვი შეიტანა რევოლიუციონური რომანტიკის ძლიერებაში. შეურყეველი „რომანტიკოსის“ „რეალისტურ“ ჰუმანს იგი თვითმკვლელობის იდეამდე მიჰყავს.

რა შუაშია აქ „რეალისტური“ ყოყმანი?

პროფესორი ტიმოშენკო ძველი ბურჟუაზიული „რეალისტური“ შკოლის შვილია, თუმცა ის პატიოსნათ ემსახურება სოციალიზმის მშენებელ კლასს. პროფესორი ტიმოშენკო ახალგაზრდა ბოლშევიკი ინჟენერის — ხანდაველის „ოცნებას“ „რეალისტურ“ გეგმას უპირდაპირებს. რესპუბლიკა ხანდაველს ანდობს საქმეს, რესპუბლიკა გამბედავი ტეხნიკოს — „რომანტიკოსის“ მხარეზეა. შეფერხების მომენტში კი თითქმის პროფესორის „რეალისტურ“ პოზიცია აზე სდგება, ის მართალია არ ეჭვობს თავისი გეგმის სისწორეში, მაგრამ მაინც დაეჭვდება მის მიერ ამ სწ[illegible] გეგმის სწორად გატარებაზე. ვაი თუ ტიმოშენკო მართალია — ფიქრობს ის და სწორედ აქ, სწორედ იმ მომენტში, როდესაც მან ნაწილობრივ მაინც დატოვა რევოლიუციონური შეტევის პოზიცია და დაიჭირა ობიექტივისტურ, სიძნელეებით დაშინებულ „რეალისტურ“ (პროფესორის) პოზიციებზე—სწორედ აქ წარმოიშვა ტრაგედია, სწორედ აქ მოხდა თვითმკვლელობის იდეის გამარჯვება, სწორედ აქ მოემწყვდა ჩვენი გმირი გამოუვალ ჩიხში და რევოლიუციონურმა რომანტიკამ იგი დასაჯა მის ძლიერებაში ეჭვის შეტანისათვის. ამიტომ მან შეწირა თავი, მაგრამ რა არ შეუწირავს მეცნიერებას. Я пожертвовал многим, но не отвагой знания. სამართლიანად შეუძლია სთქვას ხანდაველმა. შეცდი ხანდაველო, შენ შეგეძლო არ შეგეწირა თავისი თავიც, შენ მართალი იყავი როცა რევოლიუციონური რომანტიკის მეცნიერულ საფუძველზე იდექი—ასე შეუძლია უთხრას მკითხველმა და ლიტერატურულმა გასამართლებებმა ხანდაველს (ჩვენ კი არ ვეჭვობთ, რომ ჩხიკვაძის ეს ნაწარმოები ლიტერატურული გასამართლების მთელ სერიას გამოიწვევს).

პანტელეიმონ ჩხიკვაძის დამსახურებაც სწორედ იმაშია, რომ მან მხატვრობაში დასვა და მხატვრულ ფორმებში მოგვცა ასეთი პრობლემური ხელოვნების და რევოლიუციონური რომანტიკის ნაკადი. მაგრამ „რომანტიზმმა“ დასძლია ჩხიკვაძეში პრობლემისტ - მხატვარს, ის აქა-იქ უბრალო „რომანტიულ“ მოყოლის კალაპოტზე გადადის (განსაკუთრებით დასაწყისში), ვერ იმარჯვებს მოკლედ მოჭრილი სიტყვის მკვეთრ, თუ გინდ **ნოველურ**, ჟანრს (ნოველა კი მეტად ძნელი ხელოვნებაა), ვერ სძლევს ძველ **ამბავის მოყოლის** ტეხნიკას, ვერ სტეხს მას და ამიტომ ჩხიკვაძისავე კარგი იდეა ვერ არის ისევე კარგად მოტანილი, როგორც ამ დიდ აზრს შეეფერება. ამით კი რა თქმა უნდა იდეაც იჩაგრება, რამდენადაც ის ცოტათი **შრება და სჭკნება.** აქ ამრიგად არა მარტო იმ ობიექტიურ სიძნელეებთან გვაქვს საქმე, რომლებზედაც ზემოდ ვლაპარაკობდით, არამედ სუბიექტიურთანაც. მაგრამ პოეტ სიმონ ჩიქოვანისა არ იყვეს პანტელეიმონ ჩხიკვაძეს შეუძლია სთქვას:

დაწყება სიტყვის რთულია ისე,
როგორც საძირკვლის დაგება სახლის,
მაგრამ დროებას თუ შეითვისებ
ის მოგცემს ძალას, აზრსა და მახვილს.

16 აპრილს, მწერალთა სასახლეში (მაჩაბლის ქ. 13) სრულიად საქარ. საბჭოთა მწერლების კავშირი იწვევს **რესპუბლიკანურ თათბირს დრამატურგიის საკითხებზე**

შემდეგი დღის წესრიგით:

1) **საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მდივნის ამხ. გ. ყურულაშვილის შესავალი სიტყვა.**
2) **„საბჭოთა დრამატურგიის ამოცანები“ — მომხს. ამხ. ა. დუდუჩავა.**
3) **„საქართველოს საბჭოთა დრამატურგია“ მომხს. ამხ. ბეს. ჟღენტი**

თათბირი დაამუშავებს აგრეთვე საკლუბო და სასოფლო რეპერტუარის და თეატრალური კრიტიკის საკითხებს.

თათბირზე მონაწილეობისათვის მოწვეული არიან საბჭოთა მწერლები, დრამატურგები ტფილისის ყველა თეატრების ხელმძღვანელები, მუშათა კლუბების გამგეები დრამწრეების ხელმძღვანელები და აგრეთვე ქუთაისის, ჭიათურის, ფოთის, ზუგდიდის, ხონის, სტალინისის, თელავის, და სიღნაღის თეატრების ხელმძღვანელები.

თათბირი გაიხსნება საღ. 7 საათზე.

შესვლა მოსაწვევი ბარათებით.

გიორგი ლეონიძე

განთიადი ძველ ტფილისში

1
გადეყარა ნარიყალას
ნაცრიანი ბური...
ხაში ხილი,
და თონიდან ამოყრილი პური
თაბახი და ხაზანდარი,
მზე შინა და გარეთ,—
ეგებება მზეს ტფილისი,
თავის ექვსი კარით.

2
მიეგებეთ,
ვინც დამწვარა,
როგორც საათნავა!
განა გიცდის სიყვარული,
აღგება და წავა;
მაგრამ ისევ ილაპლაპებს
მტკვარის ლურჯი გავა,
ქაშუეთის ჩუქურთმები
ფასკუნჯების თავად!

3
განა გასძლებს სიჭაბუკე,
ვაი, შენი ბრალი.
ხელებ შუა გაქანდება
ნიაღვარის წყალი;
ისევ ისე დამწიფდება
ვერის ბაღში ბალი;
აბანოდან ამაივლის,
თვალციმციმა ქალი.

4.
განა ლექსი ლექსი არი,
თუ დარჩება მუნჯი?
პოეტებო, გულსაც უნდა
ბერტყვა, როგორც ხურჯინს.
შკივის თათრული სიმღერებით
მწველი ეთიმ გურჯი,
მსწვეთს ღვინოში ჩაწობილი
ფიროსმანის ფუნჯი.

5
ხდგას ქალაქი. არადანი
მან არ იცის ორში:
თანშობილი ბაბილონთან
და ნებროთის დროში,—
დღევანდელ დღეს ეგებება
სახკომსაბჭოს დროშით!

6.
თუ ბოლავენ ძველ ხანძრებით
ყვითლად მისი ქვები,—
ცას მილები ქარხნებისა,
როგორც ჯიხვის რქები
აპობენ და შემღერიან,
ცხელი ოფლის ქებით.

7.
აღარ უნდა—სიმღერები
უთხრას მძინარ ჩიტმა;
აღარ უნდა—ფრთა კალმისა,
ქაღალდი და რითმა;
აღარ უნდა—ხის ლექსები,
რაც კი დღემდის ითქვა;
ის მთელის ქარხნის ბოლში
დამწიფებულ სიტყვას.

8.
მიეგებეთ ოქროს მტვერში,
სიტყვა უნდა განდაგანა;
ბესიკსა და საათნავას
სიყვარული სწამდათ განა?
ხმაში უნდა რკინის ძალი,
სამაია სამთაგანი!

9.
მაგრამ ლექსი გადურჩება
იმ ძველ ნაჩრდილარს?
სახიდარზე წითელ ბოლოკს,
და ჰიანურს მტირალს;
მტტივებს და თივის ურემს,
წყნეთურ მაწვნის ქილას?—

მაშ, რა უყოთ პოეტებო,
ამ ტფილისის დილას?

დ. ჩიანელი

ლიტერატურული ქუთაისი

23 აპრილის წლისთავისათვის

ქუთაისის მწერალთა ორგანიზაცია საკმაოდ ძლიერი ერთეულია, რომელსაც აქვს წარსული ტრადიციებიც მუშაობის და საკმაო გამოცდილებაც. და დღეს, როცა ქუთაისი წყნარი, მეშჩანური ქალაქიდან—გადაიქცა მსხვილ, ინდუსტრიალურ ქალაქად, სადაც ამჟამად 20 ათასამდე ინდუსტრიალური მუშაა, ეს ქმნის ღრმა ცვლილებებს ქუთაისის ყოველგვარ ცხოვრებაში და მით უმეტეს მდიდარ მასალას იძლევა მხატვრულ შემოქმედებისათვის. ასეთივე მდიდარ მასალას იძლევა დღეს ჩვენი სოფელიც. და მსოფლიოში არ არის დღეს ისეთი თემატიკა მწერლისთვის რომელიც უფრო ძარღვიანი, საინტერესო და წარმატებული იყოს, ვიდრე დღევანდელი ან წარსული საბჭოთა თემატიკა, საბჭოთა თემატიკა გმირული ბრძოლების სოციალიზმის დასამყარებლად. და ჩვენი მწერლებიც დღიდან-დღემდე იპყრობენ ამ თემატიკას, ხორცს ასხამენ და თავისი დიდი საგანძური შეაქვთ საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში. ქუთაისის ლიტერატურული ცხოვრება დღეს საკმაოდ გამოცოცხლებულია საკმაოდ დარაზმულია თავისი ორგანიზაციის გარშემო. როგორც ახალ წამოზრდილი კადრები „ფაბრიკა-ქარხნებიდან და კოლმეურნეობებიდან“, ისე ძველი ლიტ-ძალები, რომელნიც ქუთაისში საკმაოდ იყვნენ. პირველი ამოცანა, რომელიც ღირსეულად გადაჭრა ქუთაისის ორგანიზაციამ, ეს იყო ლიტ-ძალების კონსოლიდაცია, და ამასთან დაკავშირებით შესატყვისი მიდგომა ყველა იმ კადრებთან, რომელნიც სდგანან საბჭოთა პლატფორმაზე და სურთ ემსახურონ ჩვენს სოციალისტურ მშენებლობას. ამ მხრით ბევრი მწერალი იყო უგულველყოფილი ქუთაისში, რომელიც მტრებად იყვნენ გამოცხადებულნი და არაფერი მათი არ მოსწონდათ, ამ მხრით აღსანიშნავია თუ გინდ დამსახურებული მწერალი დომ თომაშვილი, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა ჩვენს მწერლობაში მე-90—900 წლებში. დ. თომაშვილი დღეს ჩვენი ორგანიზაციის აქტიური წევრია, ამ ბოლო დროს მოგვცა საკმაოდ ძარღვიანი ნაწარმოებიც, მაგ. პოემა „ოკრიბა“, რომელიც დასტამბულია ქუთაისელ ორგანოში: „საბჭოთა მწერალში“.

მეორე ამოცანა, რომელიც გადაწყვიტა ქუთაისის ორგანიზაციამ ეს არის ახალი კადრების დაწინაურება და გამოყვანა, მათი ხელმძღვანელობა და შესაფერისი აღზრდა. ამ მხრით უსათუოდ აღსანიშნავია მთელი რიგი ახალგაზრდა მწერლის პირველად გამოსვლა. — ასეთებია: შ. ტოგონიძე, მიხ. ალავიძე, ვ. ლორთქიფანიძე, ან. სანი, ვ. გუგუშვილი, წითელ არმიელი მწერალი ჭაბუკიანი და სხვ.

მესამე ამოცანა ეს იყო შექმნა პირობებისა მწერლებისათვის, რომ თავიანთი ნაწარმოები, სადმე მოეთავსებინათ; დღეს ისიც მიღწეულია, ჩვენ, გვაქვს საკუთარი ლიტერატურული გაზეთი, რომელიც გამოდიოდა თვეში 1 (დღემდი გამოვიდა 6 ნომერი) 1 აპრილიდან კი თვეში გამოვა ორჯერ. გვაქვს აგრეთვე ლიტ-ჟურნალი „საბჭოთა მწერალი“, რომლის 1 და 2 ნომერი უკვე გამოვიდა და მზადდება 3—4 წიგნი.

ამ ხნის განმავლობაში საკმაოდ დაწინაურდა ახალგაზრდა მწერლებიდან: ს. თევაიძე, რომელმაც დაწერა პოემა „მილიონების გულისა“, თემა გაშლილია ჩვენი სოფლის მეურნეობის სოციალისტურ ნიადაგზე გადაყვანის ფონზე. პოემა დაწერილია საინტერესოთ, პოეტს მომარჯვებული აქვს ახალი მეთოდები წერის. აღსანიშნავია გისელი, რომელიც მეტის ინტენსიურობით მუშაობს, დაწერა პოემა „ოსური“. პოემა გაშლილია საქართველოში სამოქალაქო ომის ფონზე ოსეთში, სისიანი, რომელიც ახალგაზრდათა შორის საინტერესო ლირიკოსია. ილია ხომტარია, დაწერა პოემა ჩრდილოეთ კავკასიის სამოქალაქო ომის პერიოდიდან. ბ. კეშელავა, სწერს საწარმოო პოემას წიფლარის ბარიტის მაღაროებზე. ექ. ჭანიშვილმა დაწერა პოემა „ორი რომანტიკა“. პირ. ფანცულაია და სხვ.

ბელეტრისტებიდან უსათუოდ აღსანიშნავია ახალი კადრები: დ. კვირკველია, ამბ. გაგუა, ხოლო უკვე ცნობილიდან აქ მუშაობს ელ. შავგულიძე, რომელსაც როგორც ბელეტრისტს აქვს მომავალი.

მუშათა წრიდან წამოიწიე: კოსტაიძე, რომელმაც დაწერა დრამა „905“ წელი. ეს არის წარსული რევ. ბრძოლების რომანტიკა თანადროულობასთან დაკავშირებული. ბურჯანაძე, ჩიქოვანი, ლომაშვილი, გოცირიძე და სხვ.

საგრძნობლად გაიზარდა თეორიული ფრონტიც, ამის მაჩვენებელია ის თეორიტიული სახის მუშაობა, რომელიც სწარმოებს ლიტ-კაბინეტში და ჩვენს გამოცემებში. ამ მხრით აღსანიშნავი არიან: პეტ. ბახტურიძე, ვლ. და კირ. ფანცულაია. მწერალთა შემოქმედებითი მუშაობას ხელს უწყობს ის ფართო მუშაობა, რომელსაც აწარმოებს კავშირი ლიტ-კაბინეტში შემოქმედებითი საღამოებზე და ლიტ-კონსულტაციით. ყოველი ახალი ნაწარმოები მწერლის მიერ შექმნილი იკითხება მწერალთა წრეებში, სადაც მწერალს ეძლევა სერიოზული მითითებები, შესწორებები, რომლის ნიადაგზე ავტორს დიდი დახმარება ეძლევა. ლიტ-კაბინეტი სისტემატიურად მუშაობს, მას ხელმძღვანელობენ ცალკეულ დარგებში გამოცდილი მწერლები, ეს უსათუოდ დიდი საქმეა და ამ მხრით ხელი უნდა შეუწყონ ყველა ორგანოებმა. საკმაოდ გავშალეთ მასიურ-კულტურული მუშაობა მწერალთა ლიტ-საღამოები, ეწყობა არა მარტო ცენტრში, არამედ ყველა ფაბრიკა-ქარხნებში, წითელ ჯარში, განსახლში, სოფლის კომუნებსა და კოლმეურნეობაში, საკმაოდ გაიშალა საწრეო მუშაობა.

დღემდე შევძელით ჩამოგვეყალიბებია სისტემატიური მუშაობა. გვეწარმოებინა ლიტ-წრეში. ზოგიერთი წრეები საკმაო თოდ არის დაყენებული. მაგ. რ. გ. ტ პორტზე და თაუდში. რკინის გზაზე წ ხელმძღვანელმა ამხ. კირ. ფანცულაიამ შესძლო ადგილობრივ ძალებით ორჯერ გამოეშვა ადგილობრივ ბეჭდვით გაზეთში „რკინისგზელში“ ლიტ-ფურცელის გამოშვება.

ასეთია ჩვენი მუშაობის მოკლე მიმოხ ვა. ეს მუშაობა მით არის საყურადღ რომ იგი სწარმოებს ადგილობრივი ორგანიზაციის სისტემატიური ხელმძღ ლობით და მისი აქტიური დახმარებით. საკუთრებით აღსანიშნავია კულტ-პროპ ყოფილების გამგის ამხ. ივ. ძაძამიძის და მარება.

მართალია ქუთაისს აქვს ერთი ლიტერა რული გაზეთი, მაგრამ მისი რეალური ა სებობა ჰაერში კიდია. დიდი ვაივაგლახი გამოვეცით 1 ნომერი კრებულის ქუთაისე ლი მწერალთა ნაწარმოების; ასე მწერალ თა კადრები არ გაიზრდება, როცა ფიქრ ბენ, სად დავბეჭდოთ, როგორ დავბეჭდ საჭიროა ამ საკითხის მოგვარება და ქ თაისის ლიტერატურული ძალებისათვის ს კუთარი სტაბილური ჟურნალის მიცე ამაზე არსებობს სათანადო ორგანოების დ დგენილება, მაგრამ როცა რეალურად დ ბა საქმე, მისი განხორციელება ჩვენს გ და აღარავის ახსოვს.

ამავე საკითხთან დაკავშირებით საჭ ტფილისის გამომცემლობამ ხელი შ ყოს ქუთაისელ მწერალთა გამოქვეყნებ დაბეჭდვას. ვერც ერთ რედაქციაში ვ ნახავთ, რომ იქ არ იყოს გამოგზავნილ მასალები. მაგრამ ამ მასალებს ზერელ ეკიდებიან, არ არჩევენ, არ სტამბავენ; თი სიტყვით, ჯერ ეს საკითხი სრულ მოუგვარებელია.

მოუგვარებელია საყოფაცხოვრებო საკ თხებიც — თუ ქუთაისის მწერლები არი სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლ ბის კავშირის წევრები, მათაც იგივე უფ ლებები უნდა ჰქონდეთ, როგორც ტფილის ში მცხოვრებ მწერლებს, — ასე, ტფილისში მცხოვრები მწერლ სარგებლობენ სხვა და სხვა პრივილეგი ბით, ქუთაისში კი — ამის გაგონება არ ვის სურს. ამასაც სათანადო ყურადღე უნდა მიაქციოს ცენტრალურმა გამგეობა

გვაკლია კონკრეტული ხელმძღვანელ ბაც, რაზედაც კარგად უნდა იფიქროს ა რეთვე ტფილისმა.

საერთოდ მართალია ამ ერთი წლის გ მავლობაში დიდად გავმაგრდით, გვაქ სათანადო და ხელშესახები მიღწევები, მ გრამ ჩვენ გვსურს უფრო მაღალი მწვე ვალების დაპყრობა და ჩვენ იმედი გვაქ სრულიად საქ. საბჭოთა მწერლების კ შირის პრეზიდიუმის დახმარებით და კომ პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენ დასახუ მიზნებს შევასრულებთ.

მწერლის ტრიბუნა

ფ. ნაროუშვილი

ქრონიკები ჩვენი დროის ნორჩ ტრაგიკოსების შესახებ

პოეტ კარლო კალაძის პოემა „უჩარდიონი“ უეჭველად ნაბიჯია წინ მის შემოქმედებაში. ცნობილია, რომ კალაძე არ ითვლებოდა იდეურად მოწინავე მწერლად. მას საკმაოდ დიდი იდეოლოგიური ჩავარდნები ჰქონდა. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია „უჩარდიონი“ ნაბიჯი წინ მის შემოქმედებაში. პოემა ნაწილობრივ გადაფასებაა ძველ, იდეურად მიუღებელ პრინციპების, სხვა დადებით მომენტებს თავი რომ დავანებოთ თემატიურად მაინც.

პოეტს „უჩარდიონით“ სურდა გარდატეხის წლების გმირების „მონუმენტალური“ და კლასიკურად ჩამოყალიბებულ სახეების პოემა. სურვილი ძალზე სიმპატიურია, მაგრამ სხვაა ოცნება და ოცნების შედეგი.

წარმოების ფონად 1930 წელია აღებული. ჩვენში, როგორც საბჭოთა ქვეყნის სხვა ხალხების მწერლობაში გარდატეხის წლების პერიოდზე, არსებობს მდიდარი ლიტერატურა და პოეზია. „უჩარდიონის“ ავტორს ჰქონდა ყოველგვარი საშუალება შეესწავლა ეს პერიოდი თავის მიხწევებით და ნაკლებით. მაგრამ ავტორმა არაც თუ შესძლო **„ორივე ფეხებით გადებიჯა მთელ ქართულ მწერლობაზე“**, არამედ საკმაოდ ჩამორჩა რეკონსტრუქციის პერიოდის პოეზიას და პროზასაც და... თვითონ ჩადგა „მიხწევებისაგან თავბრუ დასხმულ“ კოლმეურნის როლში.

პოემაში ნაჩვენებია ორი მთავარი გმირი—„უჩარდიონი“ და „გულდა“.

გულდა წარმოადგენს თავმოდამსხმელი სქემას და ამასთანავე გამოხატავს ავტორის შეხედულებებს საკოლმეურნეო საკითხებში. ამას ამტკიცებს პოემის მთელი ტექსტი და ისიც, რომ ავტორს არსად არ უცდია გაეკრიტიკებია გულდას მოქმედება. პირიქით ის იდეალურ, მეტად დადებით პიროვნებას (უკეთ ყმაწვილს) წარმოადგენს ავტორის აზრით.

ეს ყმაწვილი „სასწაულებს“ ახდენს სოფლად, აშენებს სოციალიზმს **ყოველგვარი პარტიულ ხელმძღვანელობის გარეშე.**

პოემაში ყველაფერი აღებულია საერთოდ პერიოდებისა და დიფერენციაციის გარეშე.

პოემაში „უჩარდიონი“ მოცემულია **საერთოდ როგორც გლეხი**, შრომის მოყვარე, მესაკუთრე და საკუთრების თავდადებულად დამცველი. რეალურ სინამდვილეში გლეხი კი **საერთოდ** არ არსებობს. უჩარდიონის სქემას პოეტი უპირისპირებს კერძო მესაკუთრეულ ტრადიციებისაგან სავსებით განთავისუფლებულ გულდას სქემას. ასეთი გულდაც არ შეეფერება სინამდვილეს.

„უჩარდიონი“ საერთოდ როგორც გლეხი —კერძო საკუთრების სახე, გულდა კი როგორც აბსოლუტური სოციალისტი—ასეთია კალაძის სქემები. ავტორმა მექანისტურად გაიგო საკოლმეურნეო მოძრაობა, სწორედ ამიტომაა პოემაში სინამდვილე დამახინჯებული.

რადგან უჩარდიონი დაგვისურათა საერთოდ **როგორც გლეხი,**—კერძო საკუთრების განსახიერება, მან „გლეხური აზრი ნამულისადმი“ წარმოიდგინა ასე საერთოდ და გამომდინარე აქედან კერძო საკუთრების მოპოება აღიარა როგორც **საერთოდ ტრაგედია.** ჩვენ კი ვიცით ასე საერთოდ არც გლეხი და არც საკუთრება არ არსებობს და მით უმეტეს ჩვენს სინამდვილეში ასეთ საერთო ტრაგედიებს არ აქვთ ადგილი.

დაუშვათ ავტორს უჩარდიონი მოცემული აქვს როგორც კულაკი. პოემაში კი განკულაკებული უჩარდიონი გადასახლებულია მთელი ქონებით.

მაშინ იბადება კითხვა: თუ უჩარდიონი მთელი ქარავანით გადასახლეს უცხო მხარეში, მაშინ რაში გამოიხატა მისი განკულაკება? როგორც ვიცით განკულაკება ნიშნავს ჩამორთვა კულაკს საწარმოო საშუალებანი. კალაძის „უჩარდიონი“ კი „მიჰქრის“ მთელ თავის საწარმოო საშუალებებთან ერთად. ასეთ განკულაკებისათვის უჩარდიონი არც ზარს დაკრავდა და არც ფანტასტიურ მერანზე შეჯდებოდა, არც ლალეს ემსხვერპლებდა და მადლობასაც ეტყოდა თემს მის ქარავანთან ერთად გადასახლებისათვის.

სინამდვილის ელემენტარული შესწავლა იყო საჭირო, ან ყოველ შემთხვევაში პოპულიარულ ბროშურის წაკითხვა მაინც, რომ თავიდან აეცილა ასეთი გულუბრყვილო წინააღმდეგობები.

დაუბრუნდეთ „ტრაგედიის“ მთავარ გმირ—გულდას. ამ ბედკრულ ყმაწვილს, რომელიც საკოლმეურნეო მოძრაობას შეთაურობს არა სასიამოვნო ხვედრი ხვდა წილად. ის „უჩარდიონებმა“ ჩაქოლეს. ნაწარმოების მიხედვით გულდა ხან „ლამის ტლუ მეხრეა“, ხან სოციალისტურ მეურნეობის უპირატესობას ლენინის ციტატებით ამტკიცებს. პოემაში ნათქვამია, რომ მას დიდი ბრძოლები ჩაუტარებია საკუთარ თავთან და გაუმარჯვია კიდეც...

„და ასე გულთან დაჭიდებულვარ...
რომ საბოლოოდ გამარჯვებულმა
მილიონებთან ერთად ვიარო“.

ყოჩაღ გულდა! ვაჟკაცი ის ყოფილა, რომ საკუთარ თავთან შეტაკებაში არ დაიღუპა. **გულდა ლაპარაკობს: „კლასიურ** მტრების თუ იერიშით (?) განადგურებას გმირობა ჰქვია (?), უფრო ძნელია საკუთარ ტვინში მანკიერ ვრძნობას ესროლო ტყვია“. გარდა იმისა რომ ეს სტრიქონები ცუდი ქართულითაა შეკოწიწებული, აქ არის დაშვებული შეცდომა, რომელსაც განსაკუთრებით ალრმავებს წინასიტყვაობის ავტორი და შემცდარ მოსაზრებიდან „თვითტრაგედიების“ კორიანტელს აყენებს ადამიანის სოციალისტურ ფორმაციის შესახებ. მართალია ახალი ადამიანის ფორმაციის პროცესი უფრო ხანგრძლივია, და მასთან ახლავს მთელი რიგი სიძნელეები, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ტრაგედია არ არის.

საკუთარ თავთან „დატაკების“ და „გამარჯვების“ თეორიას ერთ დროს აყენებდა პოეტი კ. ლორთქიფანიძე, კალაძემ გაიმეორა ეს უფრო სუსტ ფორმებში და „კლასიკურად ჩამოყალიბებულ“ გულდას ათქმევინა. უჩარდიონის ავტორს წარმოდგენილი აქვს კომუნისტი, რომელიც ებრძვის საკუთარ თავს, განიცდის ამ ნიადაგზე ტრაგედიას, მაგრამ მაინც ჩაკეტილ ოთახში უძლებს ტრაგედიას და მთელ რიგ „თვით ცემის და „შახსეი-ვახსეის“ სცენების შემდეგ აბსოლუტურ კომუნისტად ქცეული გამოდის ხალხში და ქადაგებს კომუნიზმს.

ნამდვილად კი ასეთი თვითჩხვეის ტრაგედიებს ჩვენს სინამდვილეში ადგილი არ აქვს, და არც კარჩაკეტილ ოთახში ხდება სოციალისტურ ადამიანის თვითფორმაცია. უჩარდიონის ავტორებს საყურადღებოდ უნდა ეთქვას, რომ პარტია ხელმძღვანელობს უკლასო სოციალისტურ საზოგადოების შექმნას ყოველგვარ თვითტრაგედიების გარეშე.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორები „უჩარდიონს“ კლასების დაღუპვის ტრაგედიად აცხადებენ, სინამდვილეში პოემა არამც თუ ტრაგიული, ძალზე არა დრამატიულია.

თვით ის სცენა, სადაც გულდას „უჩარდიონები“ ღუპავენ ვერ ახდენს მკითხველზე გავლენას. ამის ერთერთი მიზეზი ისიცაა, რომ „დაღუპვა“ გადმოცემულია მდგომარეობასა და მასალასთან შეუფერებელ მხატვრულ ხერხების საშუალებით, მათი „შეჯახება“ საშ. საუკუნეების რაინდების შეტაკების იმიტაციას წარმოადგენს კიდევ მეტი: ნაცარქექიას დევებთან ბრძოლას უფრო მოგვაგონებს ვინემ თანამედროვე გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლის სახეს:

„თქვით სიკვდილმა შემოგითვალა.. გულდამ თქვა პირშიშველმა“... „შემმას აშკარად როგორ ბედაო“ (?). ასეთია ამ „ტრაგედიის“ დამახასიათებელი დიალოგები.

მხედარ დაღუპული მერანი გამოიქცევა და „მძიმე სუნთქვით“ კოლმეურნეებში შესდგება. „ცხენს რა უნდა ეთქვა, მან საუბარი ხომ არ იცოდა“,— მოგვითხრობს პოეტი და ჩვენც ვეთანხმებით ამაში.. რომ ცხენმა საუბარი არ იცოდა, მოკლეთ გულდა დაიღუპა... და ვიმეორებ ეს სცენაც იმდენად გადაჭარბებული იმიტაციაა ზღაპრების სტილის, რომ ვერ აზწევს შესაფერ დრამატიულ სიმაღლეს.

მე ვფიქრობ ყოველგვარი იმიტაცია და მიბაძვა ხალხურისადმი როგორც კლასიკოსების მიმართ **ყოვლად მიზანშეუწონელია.**

მემკვიდრეობის გამოყენება გულისხმობს კრიტიკულ დაძლევას. ხალხური ეპოსი უეჭველად მდიდარია და მისი შესწავლა დიდად სასარგებლო. სამწუხაროდ კალაძეს არა სწორად ესმის ეს საკითხი.

კალაძე ხალხურის სტილიზაციის გზას მისდევს პოემის მთელ მანძილზე. ეს სტილიზაცია იქამდე აღწევს, რომ ვერ არჩევ ხშირად, რომელია საკუთრად კალაძის სტრიქონები, და სად იწყება ხალხური. ხალხური სახელწიფო ქონებაა და მისი ასე მითვისება და საკუთარ ნიჭის ნაყოფად გამოცხადება ვერაა მიზანშეწონილი. ამას რომ თავი დავანებოთ, ხალხურისადმი მიბაძვა კ. კალაძეს კურიოზულ აბდაზებამდე დაყავს. კალაძე იგონებს ასეთ „გამოცანას“ ეროპლანზე (?): „ჩიტმა ჩიორამა გამოცანა ბრძანა“.. ასეთი ჩიორა „გამოცანები“ პოემას უკარგავს სერიოზულობას, და მით უმეტეს „შახსეი-ვახსეის“ შემდეგ კურიოზულ შთაბეჭდილებას სტოვებს.

უჩარდიონის სტილი არ არის რეალისტური, არც მისი სიუჟეტურ - ფაბულარული კონსტრუქციაა ახალი. უნდა აღინიშნოს, რომ პოემის აღნაგობა ეკლექტიურია. **კლასიკურ ლექსალობის რესტავრაცია და ხალხურის** სტილიზაცია არის კ. კალაძის მხატვრული ფორმის ორი დამახასიათებელი ტენდენცია. მათ მექანიკურ შეერთებამ მიიღო კ. კალაძის უკანასკნელ პერიოდის შემოქმედებაში ეკლექტიური სახე. ამ ორ ტენდენციამ განსაზღვრა „უჩარდიონის“ „რიტმიული დინება“ რაიც რადიკალურ წინააღმდეგობაში მოექცა თანამედროვე მასალის **მენებასთან და ახალ საწარმოო ურ**თიერთობის რიტმთან. ასეთ შეუსაბამობამ განდევნა პოემიდან დრამატიზმი და პათოსი.

თვით უჩარდიონის ხართან ფანტასტიური ჭიდილი, ველური ძიძი წაავავს დევების ჭიდილს. ასე მგონია დევები სხედან ფანტასტიურ ქვაბის გარშემო და „ქრისტიანის“ ხორცს შეექცევიან.

კალაძეს დამახინჯებულად ესმის ხლებნიკოვის მემკვიდრეობა. ხლებნიკოვის შესწავლა უეჭველად საინტერესო პრობლემაა პოეზიისათვის. მაგრამ კ. კალაძის საყურადღებოდ უნდა ითქვას, რომ ხლებნიკოვი არც რესტავრატორი ყოფილა ძველი ფორმების და არც ხალხურის „სტილიზატორი“.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „უჩარდიონი“ მეტად დამძიმებულია გავლენებით ამ პოემაში ვპოვეთ „გამოძახილს“ რუსი პოეტებიდან დაწყებული და ქართველ პოეტებით დამთავრებული. არის ცუდი შედარებებიც: „და საუბარი შრიალს ჩამოგავს“. ზედმეტი სიტყვებიცაა: „ამიერიდან როგორც **აგერ ქვა**“, ტრაფარეტული რითმები: „ორბი“—„მორბის“. საკმაოდ ბევრია ძალზე ცუდი და უკულტურო რითმები „ელვები“—„ხელები“, არის სხვა პოეტების რითმებიც და დასასრულ პოემაში შეხვდებით კარგს და ახალ რითმებსაც. ყველაფერი ეს „კლასიკურ“ და „მონუმენტალურ“ პოემისათვის წვრილმანები როდია.

მიუხედავად შეცდომებისა, და მხატვრულ დეფექტებისა პოემა უეჭველად სერიოზულ ყურადღების ღირსია. პოემაში არის მთელი რიგი კარგი ადგილები, ალაგალაგ კარგად მიმდინარეობს თხრობაც.

აღნიშნულ ნაკლთა შორის უნდა ჩაითვალოს ნაკლად **დ. ბენაშვილის წინასიტყვაობაც.** ამ წინასიტყვაობიდან ძალაუნებურად გებადებათ ასეთი შთაბეჭდილება ჩვენი „პლატფორმა არის უკმაყოფილება— მიმართულება ჯვარცმულის პოეზია. ჩვენს გარშემო ყველაფერი გადაგვარებულია, არ არსებობს მწერლობა ჩვენს გარდა, ჩვენ მოძრაობა ვართ, ვცემთ განგაშს, მოდით და გვცემეთ, ცემა ჩვენთვის „სახელია“ და ბოლოს.. „შემოგვხედეთ რა ბიჭები ვართ“!!!

ამხ. ვოლსკიმ ეს წინასიტყვაობა გააკრიტიკა, მიუხედავად დ. ვოლსკის კრიტიკის „ჯალათური“ ტონისა, რომელიც მე არა აღმზრდელობით ტონად მიმაჩნია, მის წერილში განხილული იყო ბენაშვილის მთელი რიგი უხეში და ყოვლად მიუღებელი დებულებები. დ. ბენაშვილის ერთ-ერთი უბედურება ისიცაა, რომ მან ძლიერ ნაადრევად მოინდომა სხვების აღზრდა. ამ ყმაწვილურ ყოყოჩობას ხელი შეუწყო კ. კალაძემაც.

დ. ბენაშვილის შეცდომების ერთი კატეგორია მის თეორიულ უცოდინარობიდან გამოდის. მეტად მოწაფურია მისი წინასიტყვაობის ფორმა. მაგალითისათვის მოვიყვან: **„უგმირო (უტიპო) ლიტერატურა წლებს მანძილზე დამპალ ლერწამივით იღეწებოდა“**. რა არის ეს? ერთიც, რომ რაც დამპალია არ ილეწება და მეორეც, ლიტერატურა ქალწულის ტანი არ არის ლერწამთან შესადარი. ახალგაზრდა კრიტიკოსი უნდა ერიდოს სახეებით აზროვნებას. ასეთი „სახეები“ ბლომადაა ამ წინასიტყვაობაში და ამას დაუმატეთ ფრაზეოლოგიის კორიანტელი... ასეთ „გაპიპულ“ სტილს უნდა ერიდოს ყოველი სერიოზული მწერალი.

პოეტი კ. კალაძე პასუხს აგებს დ. ბენაშვილის წინასიტყვაობაზე. ალბად ისინი თავბრუდასხმის ბურუსიდან გამორკვევის შემდეგ იგრძნობენ მთელ იმ უხერხულობას, რომლებიც მათ პოემაში და წინასიტყვაობაში დაუშვეს და თუმცა გვიან იქნება, მაგრამ სირცხვილისაგან გაწითლდებიან (გაწითლებაც კარგი ხილია).

ბოლოს ერთ კურიოზულ უპასუხისმგებლობას არ შეიძლება არ მიაქციოს კაცმა ყურადღება: პოეტი კ. კალაძე „უჩარდიონის“ წიგნის წინასიტყვაობაში თავის შესახებ დ. ბენაშვილის კალამით წერს: „უჩარდიონი ორივე ფეხებით გადაბიჯებს დღევანდელ ლიტერატურულ სინამდვილეზე“, რომ თითქოს „უჩარდიონი“ ერთი თავით მაღლა დგას მთელ ქართულ მწერლობაზე. ნუ თუ კ. კალაძეს სჯერა ეს? ამას ხომ სერიოზული პოეტი არ იტყვის, მით უმეტეს ისეთ პოემაზე, როგორიცაა „უჩარდიონი“...

მაშ რას ნიშნავს დ. ბენაშვილი ეს? აი სწორედ ამაზე ითქმის ხალხური ანდაზა, კარლო კალაძის „ანდაზების“ არ იყოს: „ბრიყვი მოუშვი ნებასა თვით შე[illegible]რება სნებასა“.

დ. ბენაშვილი უეჭველად ნიჭიერი ახალგაზრდა კრიტიკოსია, მაგრამ ასეთ ზერელობით, მტვერის დაყენებით რა თქმა უნდა წინ ვერ წავა.

ბალღი, როცა დააშავებს ან დანას ხელიდან არ გააგდებს, დედა მიბერტყავს ბოლმე, ბალღი ატირდება—მას სრულიად არ ენატრება „მიბერტყვა“, არც დედას უხარია შვილის გალახვა. დ. ბენაშვილი თვითონ მოითხოვს „მიბერტყვას“ და ბავშვისაგან იმით განირჩევა, რომ ბავში ტირის, ბენაშვილი კი იცინის. რატომ?

ალბად „მიბერტყვა“ სახელი გონია.

სტამბა „კომუნისტი“. კაშის ქუჩა № 68

გარდავქმნათ „ფედერაცია"-ს მუშაობა

ჩვენში მხატვრული წიგნის ფაბრიკებს წარმოადგენენ გამომცემლობა „ფედერაცია" და სახელგამის მხატვრული ლიტერატურის განყოფილება. მწერალთა პროდუქცია აქ ხდება უკვე დამთავრებულ მოსახმარ ფაბრიკატებად. მწერალთა ნაყოფიერი მუშაობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მუშაობენ მხატვრული წიგნის ეს საწარმოები და პირიქით — ამ უკანასკნელთა მუშაობის მაღალი მაჩვენებლები ერთ-ერთ წინა პირობას წარმოადგენს მწერალთა ნაყოფიერი მუშაობისათვის.

დღეს ჩვენი მკითხველი საზოგადოების ყურადღება გვინდა შევაჩეროთ გამომცემლობა „ფედერაციის" მუშაობაზე.

როგორც ყოველ საწარმოს, ამ გამომცემლობასაც აქვს თავისი სამუშაო პროგრამა, წლიური, კვარტალური და თვიური გეგმები.

თავისი მოცულობით და ხარისხით „ფედერაციის" საწარმოო პროგრამა ძირითადად აკმაყოფილებს საბჭოთა მკითხველის გაზრდილ მოთხოვნილებებს.

პროგრამა საკმაოდ ვრცელი და მრავალფეროვანია. 1933 წლის გეგმა ითვალისწინებს ქართული კლასიკოსების გამოცემას 72.000 ტირაჟით, თანამედროვე პროზის გამოშვებას 91.000 ტირაჟით, თანამედროვე პოეზიის 68.000 ტ., სალიტერატურო კრიტიკის 18.000 ტ., დრამატიული ნაწარმოებების 15.000 ტ., უცხოეთის კლასიკოსების— 21.000 ტ.სა სამეცნიერო ნაშრომებისა და ლექსიკონების 21.000 ტირაჟით და სახალხო გამოცემების 24.00 ტ., ანაბეჭდებზე გადაყვანით ეს ტირაჟი შეადგენს 3 მილიონ 300 ათას ფურცელს.

გამოსაცემ ქართველ ძველ კლასიკოსების სიაში შეტანილია შ. რუსთაველი, „ვეფხვის ტყაოსანი" თეიმურაზ პირველის— „ლეილ მაჯნუნიანი", ლ. ბატონიშვილის—„კალმასობა, საბა სულხან ორბელიანის —„მოგზაურობა ევროპაში", ამილახვარის — „ავანტიურისტული რომანი", მე-19 საუკუნის კლასიკოსების სიაში შეტანილია: ი. ჭავჭავაძე (მე-11 ტომი,) ე. ნინოშვილი (მე-3 ტომი), დ. კლდიაშვილი (პირველი და მეორე ტომი),. ირ. ევდოშვილი (1-ლი ტომი), გ. წერეთელი (მე-2 ტომი), ა. ყაზბეგი (1-ლი ტომი). ბაჩანა, ფიაჩალო (მამელუკები), და ანტონ ფურცელაძე.

რაც შეეხება ქართულ თანამედროვე მწერლობას, არ არის არც ერთი თვალსაჩინო თანამედროვე ქართველი მწერალი, რომლის ნაწერების გამოცემა ფედერაციას შეტანილი არ ჰქონდეს მიმდინარე წლის გეგმაში.

შეიძლება ითქვას, რომ გეგმა მრავალფეროვანია. **მაგრამ მთავარია მისი შესრულება.**

როგორ ასრულებდა და ასრულებს გეგმას გამომც. „ფედერაცია"?

შარშანდელი წელი გამომცემლობამ გარღვევით დაამთავრა: **გეგმა გაანაღდა დაახლოვებით 40 პროც.** მრავალი ნაწარმოები, რომელიც გასულ წელს უნდა გამოცემულიყო, ვერ გამოიცა და მიმდინარე წლის გეგმაში იქნა გადმოტანილი.

მიმდინარე წლის პირველი კვარტალიც მიიწურა ისე, რომ გამომცემლობამ კვარტალური გეგმა მთლიანად ვერ შეასრულა.

რა არის იმის მიზეზი, რომ ფედერაცია თავს ვერ აღწევს გარღვევას?

ამ კითხვაზე არსებობს ერთი სტერეოტიპული პასუხი: არ გვაქვს ქაღალდი, არ გვაქვს საკმაო პოლიგრაფიული ბაზაო.

მაგრამ მხოლოდ ობიექტიური მიზეზებით თავის მართლება ყოვლად დაუშვებელია.

(გამ. „ფედერაციის" ხელმძღვანელობა) გამგეობა სწორედ იმისათვის ჰყავს, რომ შექმნას ნორმალური პირობები გამომცემლობის მუშაობისათვის და გადალახოს დაბრკოლებები და სიძნელეები. წინააღმდეგ შემთხვევაში გამ. „ფედერაცია" ისე როგორც სხვა, ვერ აცდება პრაქტიკას, რომელიც ჩვენში თვითდინარეობის სახელით არის ცნობილი. სწორედ ასეთ თვითდინარეობას ფართოდ აქვს ფეხი მოკიდებული „ფედერაციის" მუშაობაში.

„ფედერაციის" ხელმძღვანელების ცნობით მიმდინარე წლის გეგმის შესრულებისათვის გამგეობას სჭირდება 3 მილიონ 500 ათასი ბეჭდითი ფურცელი ანუ 55 ტონა ქაღალდი.

„ბეჭდითი კომიტეტის დადგენილებით —ჩვენი ლიმიტი წელს 22 ტონას არ აღემატება, თუ ლიმიტი არ გაგვიდიდეს, გეგმის ნახევარიც ვერ შესრულდება, — აცხადებს გამგეობა.

მაშასადამე, გამოდის, რომ გამომცემლობა ხელფეხ შეკრულია, მაგრამ საქმე მთლად ასე არ არის. თუ გამგეობა მეტ აქტიობას, მეტ თაოსნობას და ორგანიზაციულ უნარს გამოიჩენს ქაღალდის რესურსების გადიდებაც შეიძლება. გამგეობამ თავი უნდა დაანებოს სხვისი იმედით ყოფნას, იმის ლოდინს თუ საიდან რას მიიღებს და თვითონვე იზრუნოს ქაღალდის მომარაგებისათვის, თუნდაც ამისთვის დასჭირდეს უშუალოდ კავშირის გაბმა საკავშირო ცენტრებთან.

რომ ასეთი ნაბიჯი არ შეიძლება უშედეგოდ დარჩეს, ამას მოწმობს ის რამოდენიმე ტონა ქაღალდი, რომელიც გამომცემლობამ უკვე მიიღო მოსკოვიდან.

ვინ იყო ხელის შემშლელი, რომ „ფედერაციის" გამგეობას ეს ნაბიჯი გადაედგა უფრო ადრე, გადაედგა ჯერ კიდევ შარშან?

— არავინ — მაგრამ არ იყო საკმაო თაოსნობა და მონდომება.

გეგმის არა მთლიანად შესრულების მეორე მიზეზად სტამბების მოუცლელობას ასახელებენ. სწორია ის, რომ არასოდეს ჩვენი სტამბები, ისე დატვირთული არ ყოფილან როგორც ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ამართლებს „ფედერაციის" ხელმძღვანელობის უმოქმედობას და უუნარობას. სტამბები მოუცლელია, — მით უმეტეს ასეთ პირობებში მართებდა „ფედერაციის" განსაკუთრებული თადარიგის დაჭერა. მეტი გეგმიანობის, მეტი ოპერატიულობის შეტანა თავის მუშაობაში. „ფედერაცია" წიგნებს ბეჭდავს თბილისის თითქმის ყველა სტამბებში, მაგრამ ორი სტამბის გამოკლებით, არც ერთ მათგანთან თავისი დამოკიდებულება ხელშეკრულებით არ აქვს გაფორმებული. **მეტ წილად წიგნების აწყობა დაბეჭდვა და საბოლოო დამზადება სტამბების ადმინისტრაციის ნება-სურვილზე, მის მოხალისებაზეა დამოკიდებული,** თუ დრო დარჩათ, ააწყობენ, თუ არა — განზე გადადებენ. ამიტომ წიგნების გამოსვლას სტამბიდან ბაზარზე თვეობით აგვიანდება. აქაც თვითდენაა. „ფედერაციის" გამგეობას უნდა ჰყავდეს განსაკუთრებული პირი მიჩნეული, რომელსაც დაევალება თვალყური ადევნოს ხელთნაწერებს მათი სტამბაში ჩაბარების დღიდან, ვიდრე მათ აკინძვამდე. ეს პირი პასუხს უნდა აგებდეს თვითეული წიგნისათვის.

მაგრამ წიგნების გამოცემას აგვიანდება იმიტომაც, რომ გამომცემლობა აჭიანურებს ხელთნაწერების გადათვალიერებასა და რედაქციას. ეს იმის შედეგია, რომ ერთი მხრით ელასტიურად ვერ მუშაობს გამომცემლობის სარედაქციო აპარატი და მეორე მხრით აგვიანდება ხელთნაწერების გატარება დაწესებულებებში, რომელთა სანქციაც აუცილებელია ყოველი წიგნის გამოცემისათვის.

როგორია ურთიერთობა საბ. მწერლებსა და გამომცემლობის შორის?

თავის დამოკიდებულებას მწერლებთან „ფედერაცია" მხოლოდ მათთან ხელშეკრულების დადებით ფარგლავს. მჭიდრო საქმიანი თანამშრომლობა მწერლებსა და „ფედერაციის" გამგეობის შორის არ არსებობს. არ კმარა გამომცემლობამ მიიღოს ან არ მიიღოს გამოსაცემად ესა თუ ის ნაწარმოები და შემდეგ მხოლოდ ჰონორარის გაცემაზე იფიქროს. გამომცემლობის გამგეობა სისტემატიურად უნდა იწვევდეს გამოსაცემად მიღებულ და დაწუნებულ წიგნების ავტორებს და მათთან ერთად არკვევდეს ნაწარმოების ღირსება-ნაკლოვანებებს, ახდენდეს მათ საბოლოო დამუშავებას, ავტორებთან და მხატვრებთან ერთად მსჯელობდეს წიგნის ტექნიკურ და გარეგნულ-მხატვრულ გაფორმებაზე. მწერლებთან ასეთი დამოკიდებულების პრაქტიკა უცხოა „ფედერაციისათვის". იშვიათად თუ ნახავს მწერალი თავის ადგილზე გამგეობის წევრებს, რომ მოელაპარაკოს და საქმე გააკეთოს. გამგეობის წევრებს გარკვეულიც არა აქვთ თავისი ფუნქციები, არ იციან, თუ კონკრეტულად ვის რა ევალება, ვინ რა უნდა აკეთოს. ამით აიხსნება ის, რომ არის შემთხვევები, როცა მიღებული ხელთნაწერები გადაუთვალიერებლად იგზავნება სტამბებში და ვხვდებით ასეთ კურიოზებს, როცა ავტორს გამომცემლობის ნებადაურთველად მიაქვს ხელთნაწერი სტამბაში და გამგეობის სახელით განკარგულებას იძლევა ხელთნაწერის აწყობის შესახებ. ასეთია — ფუნქციების აღრევის, გაუპიროვნების, უდისციპლინობის სამწუხარო შედეგი.

გამომცემლობა მოწყვეტილია მკითხველთა მასებს, მან არ იცის მკითხველთა აზრი მის მიერ გამოცემულ პროდუქციაზე. ის გარემოება, რომ გამოცემული წიგნები მალე იყიდება, არ გამოდგება იმის საზომად, რომ გამომცემლობა სავსებით აკმაყოფილებს მკითხველთა მოთხოვნილებებს. საერთო კულტურული დონის ამაღლების გამო, დღეს იმდენად ძლიერია მხატვრული წიგნის წაკითხვის სურვილი, რომ გაუყიდავი არ რჩება თვით მდარე ნაწარმოებიც კი. „ფედერაციამ" კავშირი უნდა გააბას ბიბლიოთეკა-სამკითხველოებთან, სკოლებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან; დრო-გამოშვებით მოიწვიოს მკითხველთა კონფერენციები. მათთან აზრთა გაცვლა-გამოცვლით შეისწავლოს მკითხველთა მოთხოვნილებები და ამას შეუფარდოს თავისი საგამომცემლო მუშაობა. ეს არ არის ძნელი საქმე, თუ გამომცემლობა თავის საქმეს სწორად გაიგებს და სათანადო მონდომებას გამოიჩენს.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ „ფედერაციის" სუსტი, არადამაკმაყოფილებელი მუშაობისათვის პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს საბჭოთა მწერლების კავშირსაც, რადგანაც იგი თითქმის განზე უდგას თავის გამომცემლობას და მონაწილეობას არ ღებულობს მის საქმიანობაში.

დასკვნა: „ფედერაციამ" საფუძვლიანად უნდა გარდაქმნას თავის მუშაობა,; იგი უნდა განამტკიცდეს ენერგიული, საქმის მცოდნე და საქმის მოყვარულ კადრებით, რომლებსაც ექნებათ უნარი და სურვილი გაშალონ ნამდვილი ბოლშევიკური ბრძოლა, ისეთი ბრძოლა, როგორსაც აწარმოებს მრავალი სოციალისტური საწარმო თავის საწარმოო საფინანსო გეგმის მაღალ მაჩვენებლებისათვის.

აქ. გ—ნი.



უკანასკნელად მოხუცის გარშემო

წოის მწვერვალს რო ხედავ,
დასაბამიდან თოვლი არ ამდნარა,
მაშასადამე
გაზამთრება ძნელია ერთობ!—
ყინვას და ქარს
მის თანაბარ გაუძლევს ორბი
და ამიტომაც ორბი მხოლოდ
მწვერვალზე შესდგა,—
ფრთების ქვეშ დარჩა
ეს ხეობა, მთა და მინდორი...
ბრძოლა ვინა სთქვა,
გახელება თუნდაც უბრალო
მწვერვალს და ორბებს
აღარ რგებიათ,—
რადგან ფერდობებს ეს ნისლები
ისევ ბურავდენ
და ნიშანწყალიც
აღარ ჩანდა მომავალ ტანჯვის;—
შარშანწინ მაინც
ბარშიც თოვლი დადგა მუხლამდე
და ზღვის ტალღებმა
მოიტანეს სუსხი და ჯანყი!—
კაცის ხელი არ შეხება
რამდენი რამ არი
და დედამიწის გაჩენიდან მომდინარეობს!—
კავკასიონი!—
ისევეა ცამდე მართალი,
ეხლა, მის ირგვლივ
მდინარენი ადიდებულან
უნდათ წალეკონ, დაარბიონ
ცამდე მართალი,
ცამდე მართალი მყინვარწვერი დადუმებულა...

2

იდგა ზამთარი,
ქარი არხევდა თოვლით დამძიმებულ ჭადარს,
სოფელზე ნისლი,
ფერდობზე ნისლი, ნისლიანი მთა ჩანდა,..
იდგა ზამთარი
და გარინდული ლანდივით იდექ ხესთან,
უკუღმართული
იყო ამინდი და უკუღმართი შენ ხარ!
— და სთქვა სიმღერა გულდამწვარი
მან კიდევ ერთხელ
და, მისი ხმა — არ სმენია ფერდობებს შემდეგ:—
— „კავკასიელი ვაჟკაცი
ურჩულის ქედზე ყიოდა
თავი ხმლით ქონდა ნაჩეხი,
მკერდიდან სისხლი დიოდა,—
ათასი თეთრი მოეკლა
უვაჟკაცობას ჩიოდა,..

3.

ზდუმდა ზღვისპირი,
ვზდუმდით ჩვენ და ზდუმდა თითონ მთა,
ფერდობი ჩანდა
მწვერვალზე მჯდომ ორბების ჩრდილ ქვეშ,
კვნესოდი მხოლოდ თავგანწირვით გულდაჭრილი შენ,
და თვალებიდან აჩენდი ხანძარს
იყო ხანძარი არ არის ახლა
სამტროთ არ უცემს გული აფხაზეთს;
ჩვენი უნარი და ჩვენი ძალა —
აილახარაზენ!
გულმართოდ იყავ ჩვენამდე შემდეგ
უკუნისამდე დარჩები მარტოდ!
ბევრი იბრძოლე, დღეს ვეღარ შესძლებ
გამოვლილია ჯანი და სისხლი
თვალებიც თითქო ჩაშრა რისხვისგან!
— შენ, შეგაშინებს ძახილი მიწის,
ძახილი ჩემი დედა-მიწისა!..
— აბა, შეიძლე უდაბურ ღამით გავლა
დაყუდებულან გადათოვლილი მთანი, —
მდინარის გაღმა როგორ გაგიჭრას თვალმა,
და შეშინდები მგზავრი!
ენგურს გადმოღმა თუ მყუდროება არი,
მაინც ჯანყდება ეს სოფელი და მხარე!
დაყუდებულან გადათოვლილი მთანი
და მოელიან გადაშენებას ხვალ-ზეგ,—
რისხვა!—
ფერდობებიდან გადმონთხეულა შენზე
და მთების ძალა შემოგესია გუნდათ!
თუ ვაჟკაცი ხარ შესძელ
და გაგიბედოს მუდამ მბედავმა გულმა—
უდაბურ ღამით თოვლიან მთაზე სუნთქვა...

აფხაზი გოგო — მებადური

მზე ამოვა და ჩავა ხელმარჯვენივ
გაქრება ჩრდილიც... ვრჩებით მე და შენ
ლამაზია ზღვა, შენ რა თქმა უნდა,
უფრო ლამაზი და უფრო კარგი,..
ღამეა, მაგრამ მაინც შეამჩნევ
თუ რა ხანძარი მინთია გულთან,—
აი, დავეცქერის სიჩუმით მთანი...
ღამეა მართლა, ბინდია ზღვის და
ვარსკვლავი გვიმზერს კრიალა ციდან!
გოგოვ ცქრიალავ, მთებში ნაზარდო,
ტყეებში ნაზარდო არწივის გვარად!
აშოლტილო და გოგოვ ლამაზო,
დაგირბენია ხშირად ფერდობი, —
მთის შვილი ხარ და მთა შეგიყვარდა,
ზღვა ახლოა და ზღვასაც ენდობი...
მებადური ვარ, ვისროლე ბადე,
არაა მთვარე, არაა ნისლიც,
სუფთაა ჰავა მიწიდან-ცამდე!
ლამაზი ზღვა, შენ უფრო კარგი,—
მებადური ვარ! რო შემიყვარდე!...
ღამეა მართლა, და შენ აჩქარდი,
მე დავრჩი მარტო, შენ აღარ ჩანდი...
გული გუძგდა არ იყავ შენ და, —
ღამე ჩემთან, ჩემთან ზღვა არი!
მე ზღვისპირადვე შემომათენდა,
ლამაზად ჩანდა უნისლო მთანი, —
ეძებდავდი იქვე, გორაკზე დადგმულ
პატარა ოდის და აივნიდან
გამოიხედე შენ, მებადურმა, —
ზღვა შრიალებდა, ზღვა იყო წმინდა...
მზე ამოვიდა, დილის ბინდია,
დილის ბინდია, შრება ცვარნამი, —
მებადურენი ზღვისკენ მიდიან,
რომ ბადეები ისროლონ ზღვაში!
შენ პირველი ხარ და მეთაური,
პირველმა უნდა ისროლო ბადე!
აფხაზი გოგო და მებადური,
აფხაზი გოგო და მოწინავე...

კერაზე[1])

1.

არ ენთო მაშინ ცეცხლი კერაზე
და ხვნა არ ედგა სოფელს და მინდვრებს
აჯანყებული დღე და კერაზე
რო მოეფინა კავკასიის მთებს..,
დადგა ზამთარი.
გუდაუთს თოვდა.
კერაზე გახდა მებრძოლი ერთგული!—
მტერს შეაკვდება აფხაზის მოდგმა,
ან სისხლს შეასმევს კოდორს და ენგურს,
შეასმევს, თუნდაც მარტოდენ დარჩეს
მარტოდენ დარჩეს მტერი და ღამე!
მარდი მუხლი აქვს, ის გადაარჩენს
და მანძილს დასძლევს გათენებამდე...

2.

ქონდა კრეისერს ბრძოლა და ზღვაზე
ყუმბარები და ქვემეხი ქუხდა, —
ხომ სულ ერთია:—იქნებს ხვალ-ზეგ
აჯანყებული ხალხი და ბუხტა!
ხომ სულ ერთია, დაარტყი სადმე,
დაარტყი სადმე!— ცეცხლი და რისხვა!
თორემ წამოვა ყუმბარა ხვალ-ზეგ
აგიჯანყდება თითონვე მიწა..,
შეუწყვეტელი ბრძოლები ენთო
ისევ კიოდა ტყვიის ხმა ყურთან,—
რა ხანძარია ზღვა და ხმელეთი,
რა ხანძარია ხალხი და ბუხტა!..

ხანძარი? დიდხან ენთო და შემდეგ
მინელდა მისი უმაღლესობა;
გამარჯვებულნი მაღლობზე შედგნენ.—
ღელავდა ზღვა და მიწა კვნესოდა...
მიწა კვნესოდა... და გამგონე ეხლა ვინ
——— არი,—
თითონვე მიწა, ნისლიანი მთა და მყინ-

აილახარაზენ

1.

ღამეა მთებში,
უმთვაროა ღამე სრულიად;
ზდუმს ზღვისპირი და ქოხები სდუმან!
ღამეა მთებში
და მაინც მოსჩანს
აფხაზის ჯანმა, აფხაზის გულმა,
როგორ გარდაქმნა
ეს მთა და ხევი,
როგორ მოიკლა შიში და ჯავრი;—
აილახარაზენ — აფხაზი გლეხი
საკუთარ ქოხით, საკუთარ ჯანით
იბრძვის დღე-და-ღამ,—
თუ ვეღარ ხედავ, იგრძენი მაინც,
რომ გამოცვლილია ხევი და მთანი.
მთებში შეხიზნულ ველურის ძალამ
იყარა ჯავრი
და ღამით, ერთხელ,—
მთელი სოფელი ამოათავა
და გადმოსძახა მრისხანეთ გლეხებს:
— მიწას რას ერჩით, მიწა უტყვია,
მიწა უტყვია, მართალი ცამდე!—
ვიდრე ძალა გაქვს, ხმალი, თუ ტყვია
ვერ გაიაროთ უშიშრად გზაზე...
ესროლეს გუშინ,
გულდადებით ესროლეს. მოხვდა,
მოხვდა უთუოდ შუაგულ გულში
და სისხლიანი დაეცა, მოკვდა!
ღამეა მთებში,
შემოდგომის უმთვარო ღამე!
წყნარია ხევი,
უნისლოა მთა,
სოფლები სდუმან
გათენებამდე —
არ იკვესებენ სალამურებს!
არ დაეცემა სოფელსაც ბანდა!—
ღამეა, მთებში
ანათებენ ელნათურები...
გუდაუთი
1931 წლის შემოდგომა

საქ. დრამკომის რეორგანიზაცია

ა წ 7 აპრილს, შესდგა საქართველოს დრამკომის წევრ-დრამატურგების, კომპოზიტორების და კინოსცენარისტების საერთო კრება.

კრებამ მოისმინა ამხ. პ. სამსონიძის მოხსენება დრამკომის გამგეობის საზოგადოებრივ კულტურულ საქმიანობის შესახებ და ამხ. გ. რაზმაძის თანამოხსენება ფინანსიური მუშაობის შესახებ. გასული წლის ნოემბერში დრამკომის მუშაობის შესამოწმებლად გამოყოფილი ბრიგადის სახელით მოხსენებით გამოვიდა აგრეთვე ამხ. შ. დადიანი. გაკეთებულ მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ს. მთვარაძემ, გ. ბააზოვმა, ი. იმედაშვილმა, მ. დარბინიანმა, გ. დარისპანაშვილმა, აქ. ფაღავამ და ბეს. ჟღენტმა. ორატორებმა აღნიშნეს დრამკომის როგორც მიღწევები, ისე მისი მრავალი ნაკლი. მომხსენებელთა საბოლოო სიტყვის შემდეგ კრებამ მოისმინა ინფორმაცია საქ. დრამკომის რეორგანიზაციის შესახებ.

კომპოზიტორების და კინოსცენარისტების სექციების გამოყოფის შემდეგ დრამატურგთა სექცია უნდა შეუერთდეს ავტონომიურ უფლებით საბჭოთა მწერლების კავშირს.

დასასრულ, კრებამ აირჩია კომიტეტი ყველა სექციების წარმომადგენლებისაგან და გამოყო სარეორგანიზაციო კომისია ამხ. აქ. ფაღავას, შ. ალხაზიშვილის და შ. თაქთაქიშვილის შემადგენლობით.

კომისიას დაევალა დაამთავროს სარეორგანიზაციო მუშაობა ა. წ. 22 აპრილამდე.

8 აპრილიდან კომისია უკვე შეუდგა მუშაობას.

შალვა რადიანი

ბურჟუაზიული თეორიის წინააღმდეგ

(გრ. რობაქიძის თეორია ლიტერატურის და ხელოვნების შესახებ)

როდესაც ვლაპარაკობთ გრ. რობაქიძის სამწერლო ფიგურაზე, აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, გამორკვეული იქნას მისი საერთო-თეორიული, პრინციპიული შეხედულებანი, რომელიც მან საფუძვლად დაუდვა თავის პრაქტიკულ-შემოქმედებითი მუშაობას. ეს კიდევ იმ მხრივაც საჭიროა, რომ დღესაც მოიპოვება ჩვენს სინამდვილეში ზოგიერთი მწერალი, რომელიც ცდილობს გაჰყვეს გრ. რობაქიძის იდეალისტურ შეხედულებების გზას.

ამ რამდენიმე წლის წინად გრ. რობაქიძემ გამოაქვეყნა მთელი წყება წერილებისა („ერის სული და შემოქმედება", „ხელოვნება და სინამდვილე", „შემოქმედი და გარემო" „ფრიდრიხ ნიცშეს გარშემო", „დაბრუნება მიწასთან", „სადარბაზო ბარათი" და სხვ.), რომელშიაც ის იძლეოდა თავის კრედოს. ეს შეხედულებები გრ. რობაქიძეს შემდეგ არ უარუყვია. ის ამ შეხედულებებს დღესაც მთლიანად იზიარებს.

ძირითად საკითხს წარმოადგენს ხელოვნების სპეციფიკის, ხელოვნების სინამდვილესთან დამოკიდებულების გამორკვევა. როგორ ესმის გრ. რობაქიძეს ხელოვნება?— იგი აცხადებს: „ჩვენს წინაშე სდგას სახელგანთქმული ქანდაკი მილოსის ვენერასი. ქალის სხეულის სილამაზე გამოჭრილია მკვდარ მარმარილოსაგან და მათრობელი ვნებებს ტყვექმნილია პლასტიურ ნაკვეთებში; და ცოცხლობს და სუნთქავს იგი ღვთიური სულდგმული მარმარილო... ემპირიული სინამდვილე ამ ქანდაკებაში მხოლოდ მარმარილოა; თვითონ ფორმის სხეულება კი ნაყოფია მარტოდ-მარტო ხელოვანის შემოქმედებითი ფანტაზიისა... („ხელოვნება და სინამდვილე" გაზ. „სახალხო გაზეთი" 1913 წ. № 884).

გრ. რობაქიძის გაგებით ხელოვნებას ჩვენ გადავყევართ მეორე „იქეთა", ქვეყანაში, რომლის არსებობაც მას სჯერა. გრ. რობაქიძისათვის ხელოვნება არის ფარული სახე, იდუმალი ნიშანი რაღაც სხვა ყოფისა, მარადიულისა. შემოქმედი იღებს ამ ქვეყნიურობას როგორც სიმბოლიურ სინამდვილეს და ამ სინამდვილეში იგი სახავს „იდეალურად აუცილებელს", ე. ი. მისტიურს.

შემდეგ გრ. რობაქიძე ამბობს, რომ „ხელოვნური ქმნილება" არ არის არსებული სინამდვილის გამოხატულება, „არამედ ის.., განოსახვაა სასურველი სინამდვილისა" (იქვე).

სხვა ადგილას გრ. რობაქიძე აცხადებს, რომ ხელოვნება არის ენტელეხია, რომელიც თავისებურ ჰქმნის თვითონ მსოფლიოს (იხ. „დაბრუნება მიწასთან". გაზ. „რუბიკონი". 1923 წ. № 1). აქ ხელოვნება გაგებულია, როგორც ზერეალური მოვლენა, რომელსაც გააჩნია თავისი სრულიად დამოუკიდებელი მსოფლიო, რომელიც მთლიანად გამოყოფილია ყველაფრისაგან. ასეთ გაგებაში სრულიად დავიწყებულია ურთიერთობა, მჭიდრო კავშირი ხელოვნებასა და ცხოვრებას შორის. აქ ხელოვნება მოცემულია, როგორც მისტიური ძალა, რომელსაც არაფერი არ აკავშირებს საზოგადოებრივ ურთიერთობასთან, კლასთა ბრძოლასთან.

ხელოვნების მსგავსი გაგება გრ. რობაქიძეს თავის მრავალ სხვა წერილშიაც აქვს მოცემული (იხ. „შემოქმედი და გარემო", გაზ. „დროება", 1909 წ. № 257; „მცირე შენიშვნა", გაზ. „დროება". 1910 წ. № 73; „ფრიდრიხ ნიცშეს გარშემო", გაზ. „სახალხო გაზეთი", 1911 წ. № 387 და სხვ.).

გრ. რობაქიძეს ხელოვნება ესმის, როგორც ქვეცნობიერი მოვლენა. მისი გაგებით შემოქმედება ემორჩილება რაღაც გაუგებარ სტიქიურ ძალას, რომელიც ესიზმრება ავტორს. მხატვრული ნაწარმოები გრ. რობაქიძისათვის იმდენად არის ძლიერი, რამდენადაც სრულიად დაიჭერს ავტორი სიზმარს: „აბა დააკვირდით შემოქმედებითი პროცესს! განა, იგი ერთგვარი დენა, ხმა არ არის შეუცნობელის მოგონებისა?! ხელოვანი დემონიურადაა შერვეული, უსხეულო „იდეით", იგი შეპყრობილია უფორმო „სახით" და ტანჯვით ამდენ მშობიარობას განიცდის იგი „იდეია", იგი „სახე"... ბნელი ღამე და თვალ-ველი. ბინდით მოცული; ფართო ზღვა და სმენა-თამაში; ქაოსით ქარაფეთლი... წინ ზღვის ზედაპირი დიად ნისლში მოცილარე, უკან — შავი ტყე საშინელ მოჩვენებათ გაშლილი... ისმის ზღვის ქშინვა, ვით ოხვრა უზარმაზარი ცხოველის მძიმე ტკივილისა: ხმაურობს ტყის შრიალი, უტყვი, მაგრამ საიდუმლოს მეტყველი... ხელოვანი სთვლემს: იგი თვალახვეულია; „იდეია ნელ-ნელა იშლება, ისმის სხეულად.. ხელოვანი სმენად იქცევა: უსმენს მისი ჩამოსხმის შრიალს... შორით, ტყის ტოტები ტევრით მოისმის ნაკადულის იდუმალი ჩურჩული: ხელოვანს სმენად ესმის მათი შთამგონებელი მეტყველება... და იგიც ხელს აწძრევს: უნდა ბნელი გაჰკაფოს... და ჰა, ცოტა ინათლა, აიხსნა პირველი თვალი, ალიონი; „იდეია" განაგრძობს სხეულობას; ხელოვანი თვალღია სიზმარში გახვეული უცქერის მის ტანჯვით მშობიარობას. აი კიდეც, პირველი სხივი, გამპობი და ცხოველმყოფელი; ღრუბელი გაიპო და ფერი იცვალა. მას მოსდევს მეორე და მთელი ძნა სხივებისა... ღრუბელი აფერადდა..: და საშინელი სისწრაფით ჩამოასხა იგი „იდეია"; იშვა სხეულში უბიწო სახე. სმენა მათრობელი ჰანგი იხსნა ნაკადულად; ფორმა — სილამაზე იშვა მარმარილოში. სიზმარი გათავდა,—და ხელოვანი უცქერის ნეტარებით თავის ქმნილებას"... (იხ. „ერის სული და შემოქმედება", გაზ. „სახალხო გაზეთი", 1913 წ. № 1870).

გრ. რობაქიძის გაგებით შემოქმედებითი პროცესის დროს ხელოვანი, შემოქმედი შორდება ცხოვრებას, იგი გადადის ბურუსიანობაში და სიზმრის საშუალებით იწყებს შემოქმედებას. ამ დროს მისთვის აღარ არსებობს ყოველდღიურობა და ღამის სამფლობელოა მის ირგვლივ; „ამ უცნაურ ჟამს (ე. ი. შემოქმედებითი ჟამს. შ. რ.), ხელოვანი სცილდება ფხიზელ ყოველდღიურობას და შუქის ღამის სამფლობელოში, სადაც იგი თვალღია სიზმარში გახვეული, უფრო ნათლად უმზერს სახეთა წარმოშობას"... (იქვე).

გრ. რობაქიძის მიერ შემოქმედების, როგორც სიზმრის, ძილის გაგება არ არის მისი ორიგინალური შეხედულება. ის უკვე არსებული, შორეულ საუკუნოებში ნათქვამი მოსაზრებების განმეორებაა. განსაკუთრებით გატაცებით ხელოვნების, როგორც სიზმრის — შეხედულებას შორეულ საუკუნოებში იცავდნენ მაგები, ქურუმები. მათ ეს გარკვეული კლასიური მიზნებისათვის უნდოდათ.

რიხარდ ვაგნერიც თავის „მეისტერ ზინგერების" ანუ „ნიურენბერგელ სიმღერის ოსტატების" ერთ-ერთი გმირის პირით სწორედ ხელოვნების ასეთივე გაგებას იძლევა.

თუ ხელოვნების არსი გრ. რობაქიძის გაგებით უშუალო შთაბეჭდილებებში მდგომარეობს, მაშინ, როგორია ხელოვანის, შემოქმედის როლი, რაში მდგომარეობს მისი საქმიანობა?

გრ. რობაქიძისათვის მხატვრული ნაწარმოები ეს არის მხოლოდ მწერლის „ხილვა", შემოქმედის „სიზმარი". შემოქმედი, მწერალი არავითარ სოციალურ-ისტორიულ პროცესთან არ არის დაკავშირებული. გრ. რობაქიძეს მხატვრული ფაქტი წარმოდგენილი აქვს მხოლოდ, როგორც შემოქმედებითი ინდივიდის შინაგანი სამყაროს გამომზეურება.

გრ. რობაქიძის მოსაზრებებს ხელოვნების ბუნების, შემოქმედებითი პროცესის და მხატვრული ნაწარმოების ხასიათის შესახებ საფუძვლად უდევს ფილოსოფიური იდეალიზმი. ხელოვნებაში და ესთეტიკაში ამ მიმდინარეობამ თეორეტიული დასაბუთება ჰპოვა კანტის და ბერგსონის შრომებში.

გრ. რობაქიძემ კანტის და ბერგსონის შეხედულებანი დაუდვა საფუძვლად თავის ესთეტიკის და ხელოვნების თეორიას. გრ. რობაქიძის ესთეტიური თეორია და მისგან გამომდინარე ხელოვნების მეთოდოლოგიური კონცეპცია, არსებითად კანტიანიზმის და ბერგსონიზმის რესტავრაციას წარმოადგენს*)

კანტის გაგებით მეცნიერება განსაზღვრულია და იგი არ იძლევა შესაძლებლობას გადავაშორიდეთ ამ ქვეყნიურ საგანთა შემოფარგლულ საზღვრებს. მხოლოდ ხელოვნება მასში ინტუიციის მეოხებით იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ გადავიდეთ „იმ" ქვეყნიურ „სინამდვილეში". ხელოვანი შემოქმედებითი პროცესის, შემოქმედებითი ექსტაზის დროს ისე ეფლობა საგნებში, რომ მისი მეოხებით იგი ამ ქვეყნიურ საგნებში სჭვრეტს მათ ნამდვილ, არა ამქვეყნიურ შინაარსს.

კანტისათვის მხოლოდ ხელოვნებაა ისეთი ყოვლის შემძლე სფერო, რომელშიაც ხდება ორი ქვეყნის საიდუმლოს დაკავშირება. მხოლოდ ხელოვნების საშუალებით ხდება ფენომენის და ნოუმენის დაახლოება. მხოლოდ ხელოვნების მეოხებით შეუძლია ადამიანს „შეხედოს" შეუცნობელ ნოუმენს. კანტის გაგებით ხელოვნება უზარმაზარი კედლით ეყოფა ლოღიკურ შემეცნებას და პირდაპირ მედარდება ნოუმენისაკენ. შეცნობის ამ გზაზე, კანტი თანამიმდევრად აძევებდა ხელოვნებიდან ლოღიკურ ცნებებს.

კანტის გზა შემდეგ კიდევ უფრო გაალრმავა ესთეტიკის და ხელოვნების თეორიაში ბერგსონმა.

ბერგსონი შემქმნელი და მეთაურია თანამედროვე ინტუიტივიზმის — იდეალისტური ფილოსოფიის ერთ-ერთი სახეობის.

ბერგსონმა ჩამოაყალიბა გარკვეული შეხედულება შემოქმედებითი აქტის პროცესზე, მის ხასიათზე და მეთოდოლოგიაზე რაში მდგომარეობს იგი?

ნახევრად - აგნოსტიკოსის ბერგსონის გაგებით საგნების დაფარულ არსში ადამიანს შეუძლია ჩაწვდეს მხოლოდ თავის „სულს" ისეთ პასიურ მდგომარეობაში, როდესაც იგი სრულიად თავისუფალი ყოველგვარ ზეწოლისაგან. „სულის" ასეთი მდგომარეობა არის ინტუიცია. იმიტომ, რომ ინტუიცია არის „სულის მდგომარეობა" და არა ლოღიკური აზროვნება ცნებეერთო არა აქვს მეცნიერებასთან და ფილოსოფიასთან.

ბერგსონი ერთმანეთს უპირისპირებს ინტუიციას და გონებას. მისი გაგებით მხოლოდ ინტუიციას და არა გონებას შეუძლია ჩაწვდეს საგნების ნამდვილ არსს. ბერგსონი ინტუიციას აკუთვნებს პრიმატს გონებასთან შედარებით. მისი აზრით, გონებას არ შეუძლია შეიცნოს არც გარე სამყარო და არც ადამიანის შინაგანი სულიერი ცხოვრება. ბერგსონის გაგებით გონება არ გვაძლევს სწორ წარმოდგენას მოვლენების შესახებ, გონება ვერ იძლევა მთლიანად, სწორად ვერც სამყაროს და ვერც მისი ნაწილების შინაარსს. მხოლოდ ინტუიციას შეუძლია ჩაწვდეს ყოველმხრივ და ღრმად საგნების არსში, ბერგსონი მთელ შემოქმედებითი ძალას აკუთვნებს ინტუიციას. მისი წარმოდგენით შემეცნება მოკლებულია სამყაროს შეცნობის საშუალებას. ეს შეუძლია მხოლოდ ინტუიციას, რომელშიაც დომინანტურ როლს ასრულებს ქვეცნობიერი პროცესები.

ბერგსონი აღიარებს, რომ ინტუიტური შემეცნების ნამდვილ სფეროს წარმოადგენს ხელოვნება, რომ ესთეტიკის სფერო იძლევა ყველაზე მეტ მასალას ინტუიციის როლის გასაგებათ.

ბერგსონის წარმოდგენით სწორედ ხელოვნება იძლევა შესაძლებლობას მოვხსნათ სამყაროს „საიდუმლო საფარველი" და დავინახოთ იგი ისეთად, როგორც სინამდვილეშია. ბერგსონის გაგებით მხოლოდ ხელოვნება არის ქვეყნიერების შემეცნების ადეკვატური. მოვლენების და საგნების არსში ინტუიციით ჩაწვდომა ყველაზე უფრო ღრმად ხელოვანს შეუძლია: „ბუნებასა და ჩვენს შორის ჰკიდია ფარდა: ადამიანებს უმეტესობისათვის სქელი, ხელოვანთა და პოეტებისათვის — თხელი, თითქმის გამჭვირვალე. სინამდვილეზე პრაქტიკულ გამარტივებულ წარმოდგენის მეოხებით ჩვენ ვერ ვხედავთ, თვით საგნებს, ჩვენ ვკითხულობთ მხოლოდ მასზე მიკრულ ნიშნებს. ყოველგვარ ხელოვნებას თავის ერთ-ერთ ამოცანად აქვს ჩამოხსნას პრაქტიკულად სასარგებლო სიმბოლოები, რომ ჩვენ დაგვაყენოს თვით სინამდვილის პირისპირ" („სმეხ", გვ. 182).

როგორც ვხედავთ, კანტი და ბერგსონი და მათთან ერთად გრ. რობაქიძე შემოქმედებაში აცხადებენ ინტუიციის პრიმატს, ინტუიციისაგან გამოჰყავთ მათ ყველაფერი. მხოლოდ ინტუიციაზე დაყრდნობას მივყავართ იქამდე, რომ ქვეყნიერების შემეცნების მთელი ამოცანა ეკისრება ინდივიდუალურ შემოქმედს, მის პირად ბიოლოგიურ თვისებებს. აქ პირველ პლანზე გამოდის თავისუფალი შემოქმედი, რომელიც თითქოს სადღაც განზე იმყოფება საზოგადოებისაგან, კლასთა ბრძოლისაგან.

მხოლოდ ინტუიციაზე დაყრდნობას მივყავართ შემოქმედის მსოფლმხედველობის და კლასიური მიმართულების „მოხსნამდე", შემოქმედების კლასიურ შეფასების უარყოფამდე.

ინტუიტივიზმის მეთოდი აგრეთვე თავისებურ უარყოფით გავლენას ახდენს შემოქმედის თემატიკაზედაც, ვინაიდან ინტუიტივისტები მოითხოვენ, რომ მწერლებმა მხოლოდ ის გადმოგვცენ, რასაც „უშუალოდ" აითვისებენ. ყოველივე ამის გამო მხატვრულ შემოქმედებაში ფართო საზოგადოებრივ თემების ადგილი ეთმობა ვიწრო, პირადულ თემებს, ისეთ თემებს, რომლებიც ავტორის პირად უშუალო შთაბეჭდილებების არეშია მოთავსებული, რომელიც არ ეხება საზოგადოებაში არსებულ წინააღმდეგობებს, კლასობრივ ბრძოლას, არამედ ჩაკეტილს, განმარტოებულ პიროვნებას, მის ინდივიდუალისტურ ჩიჩქნას და სხვ.

ინტუიტივისტები ამბობენ, რომ ხელოვნებამ უნდა „მოხსნას საფარველი", მოაშოროს მოვლენას „ზედაპირი" „გასწმინდოს" ის ყოველდღიური წვრილმანებისაგან, ვინაიდან მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ჩაწვდენა საგნების სიღრმეში. აქ ნათლად მოსჩანს საგნების გაორება, ორნაირობა. მაგრამ ეს არ არის სწორი. მას არაფერი საერთო არ აქვს სინამდვილის არსებით ობიექტურ შეცნობასთან.

ინტუიციის ბატონობას გონებაზე მივყევართ მისტიკამდე, რაც წარმოადგენს იდეალისტურ მსოფლმხედველობის დამახასიათებელ მომენტს. მისტიურ ინტუიტივიზმის სოციალურ აზრს წარმოადგენს ბრძოლა გონების წინააღმდეგ, ბრძოლა სამყაროს შეცნობის ნამდვილ, მეცნიერულ გაგების წინააღმდეგ.

ინტუიტივისტებს აღიწყდებათ სტენდალი, რომელიც უარყოფდა ყველაფერს იმას, რაც რამდენიმედ მაინც არღვევდა გონების ჯანსაღ გარკვეულობას. სტენდალი დასცინოდა იმ ფილოსოფოსებს, რომლებიც ამტკიცებდნენ შემოქმედების პირველ წყაროების მისტიურ და მხოლოდ ქვეცნობიერ საფუძვლებს.

დიალექტიური მატერიალიზმი გარკვევით ამბობს, რომ გარდა იმ მატერიალურ სინამდვილისა, რომელსაც ჩვენ ვითვისებთ, არ არსებობს სხვა, უფრო რეალური სინამდვილე.

სინამდვილის შეცნობის ობიექტიურობა დამოკიდებულია უპირველეს ყოვლისა, ხელოვანის, შემოქმედის, კლასიურ პოზიციაზე, მის მსოფლმხედველობაზე.

მისტიური იმტუიტივიზმი ესაჭიროება მხოლოდ ბურჟუაზიას, რომელსაც ეს თეორია ხელს უწყობს თავისი ბატონობის განმტკიცებაში.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სწორედ კანტის და ბერგსონის ესთეტიკის და ხელოვნების თეორიიდან გამომდინარეობს გაუგებლობა, როგორც მოვლენის და არსის ერთიანობის. ამას კი ძირითადი მნიშვნელობა აქვს. ამ მხრივ გრ. რობაქიძე „პირწმინდათ" იმეორებს კანტსა და ბერგსონს.

გრ. რობაქიძის თეორიაში წითელი ზოლივით გავლებულია განხეთქილება სახეებით აზროვნებასა ხელოვნებაში და ლოღიკურ აზროვნებას შორის. ეს დუალიზმი, რომელიც მომდინარეობს კანტიანურ აგნოსტიციზმისაგან, და რომლის „ბუნებრივ" განვითარებას მივყევართ სუბიექტის და ობიექტის დაპირისპირებამდე, შესატყვისია ბუნების შეუცნობლობის, არსისა და მოვლენის განხეთქილების*).

ემყარება რა გრ. რობაქიძე კანტიანურ-ბერგსონიალურ დუალისტურ წინამძღვრებს, გონების მიერ საგნების არსის შეცნობის შეუძლებლობის შესახებ, არსისა და მოვლენის, სინამდვილესა და ხედვას შორის განხეთქილების არსებობის შესახებ, — იგი საბოლოოდ მიდის თანამიმდევარ სუბიექტიურ იდეალიზმამდე.

გარდა კანტისა და ბერგსონისა, გრ. რობაქიძეს გზის მაჩვენებლად თავის თეორეტიულ — ლიტერატურულ მუშაობაში ჰყავს **ფრ. ნიცშე, თ. დოსტოევსკი და დ. მერეჟკოვსკი.** მათგან გრ. რობაქიძე იღებს სწორედ სამყაროს და მოვლენების იდეალისტურ ხედვის პრინციპებს.

აღსანიშნავია, რომ გრ. რობაქიძემ რევოლუციის წლებშიაც ხელოვნურად შეინახა თავისი სუბიექტიურ-იდეალისტური მსოფლმხედველობის და ესთეტიკის საფუძვლები. იგი არავითარ სურვილს არ ამჟღავნებს მათი გადაფასების. ამდენად აუცილებელია მისი საფუძვლიანი კრიტიკა, მისი ძირეული მხილება.

შალვა რადიანი.

---

*) შემთხვევითი არ არის გრ. რობაქიძის განცხადება: „...თანამედროვეთაგან ყველაზე უფრო მიყვარს ბერგსონი" (იხ. „სადარბაზო ბარათი", გაზ. „რუბიკონი", 1923 წ. № 15).

*) აღსანიშნავია, რომ გრ. რობაქიძე თავისი თეორიით ხელოვნების შესახებ ძლიერ უახლოვდება გერმანელ სიმბოლისტ პოეტს **რაინერ მარია რილკეს** მსოფლგაგებას. რილკე, მსგავსად რობაქიძისა, თავის შეხედულებებში გამომდინარეობს კანტიანურ იდეისაგან „საგნის თავისთავად"-ის შეუცნობლობის შესახებ. რილკე ლაპარაკობს: „ისინი, (ე. ი. ადამიანები. შ. რ.), ვერ ამჩნევენ, რომ ყველაფერი, რასაც ეხება მათი ხელები, გავარვარებულია და მათ არ შეუძლიათ მოვლენათა კიდეს მოჰკიდონ ისე, რომ არ დაიწვან". სამყარო მიუწვდომელია ადამიანის შემეცნებისათვის, ბუნება სასტიკ წინააღმდეგობას უწევს ადამიანის ყოველ განზრახვას საგნების მიუწვდომელ არსს. მხოლოდ ხელოვნებაში, რომლის ძირებიც ღრმად მიემართება ქვეცნობიერებაში, ვიმეცნობთ სამყაროს, ვიმეცნობთ საგნების ნამდვილ არსს.

სიმფონიური ორკესტრის პირველი კონცერტი

ტფილისი მუსიკალურად ძალიან ჩამორჩა. თუ არ მივიღებთ მხედველობაში ჩამოსულ გასტროლიორებს (ვიოლინისტები, მომღერლები და სხვ.). ჰქონდა მხოლოდ სახელმწიფო ოპერა და ზაფხულის პერიოდში — სიმფონიური ორკესტრი. ვერც ერთი ზემოდასახელებული ორგანიზაცია ვერ აკმაყოფილებს იმ გაზრდილ მოთხოვნებს, რომელთაც მუშათა კლასი უყენებს ხელოვნებას.

ამის მიზეზია ის გარემოება, რომ ჩვენი მუსიკალური ორგანიზაციების მხატვრული და იდეოლოგიური დონე დაბალია მუშა-მაყურებლის გაზრდილ კულტურულ დონესთან შედარებით. არ შეიძლება წლიდან წლამდე მუშა-მაყურებლის კვება „ჯამბაზებით", „ტრავიატათი", „ფაუსტით" და სხვა მოძველებული ოპერებით, რომლებიც ამავე დროს ისეა გაფორმებული (სცენიური მხრით), რომ სიცილს იწვევს და კითხვას ბადებს: რაში ღებულობს ფულს მხატვრული ხელმძღვანელობა?

არ შეიძლება წლიდან წლამდე მოეწყოს დიდი რეკლამით სიმფონიური ორკესტრი „მოსკოვის და ლენინგრადის გამოჩენილ მუსიკოსთა მონაწილეობით", გამართოთ დირიჟორების დოლი, დახარჯო უამრავი ფული და მიიღო მინიმალურ მხატვრულ ეფექტს, როგორც ამას [illegible], [illegible] აჩვენებს ყოველ ზაფხულში სიმფონიურ სეზონის ყოველგვარ მხატვრულ გეგმის გარეშე. სხვადასხვა დირიჟორი ასრულებს ერთსა და იმავე პროგრამას, (ჩაიკოვსკის მე-4,5 და მე-6 სიმფონიებს, ბეთხოვენის მე-3 და მე-5 სიმფონიას), პროგრამას, რომლის შესასრულებლად სავსებით საკმარისია ადგილობრივ ძალებისაგან შემდგარი გაძლიერებული ორკესტრი. მუსიკალურ ორგანიზაციების ამგვარ საქმიანობის შედეგია სიმფონიური მუსიკის უგულებელყოფა.

როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ მოძმე რესპუბლიკებში? იქ კარგა ხანია შეიგნეს სიმფონიური ორკესტრის მნიშვნელობა და როლი მასების კულტურული აღზრდის საქმეში. ლენინგრადსა, მოსკოვსა, ხარკოვსა და ბაქოში არსებობს რამდენიმე სიმფონიური ორკესტრი, სრულდება კლასიკოსების მიერ შექმნილი უდიდესი ქმნილებანი; მუშა მაყურებელთა დასწრება 75 პროც. აღწევს. უდიდესი ყურადღება ექცევა საბჭოთა კომპოზიტორების ახალ ნაწარმოებთა შესრულებას და პოპულარიზაციას. სიმფონიური ორკესტრები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ პოლიტიკურ კამპანიებში.

გასაგებია, თუ რატომ ექცევა ასეთი დიდი ყურადღება ამ საქმეს. იქ უბრალოდ აქსიომად არის გადაქცეული ის, რომ, თუ საოპერო ხელოვნებას კონკრეტული ხასიათი აქვს და უმეტეს ნაწილად ინდივიდუალურ ემოციათა განსახიერებას იძლევა, სიმფონიური მუსიკა თავის საუკეთესო წარმომადგენელთა სახით (ბეთხოვენი, ბერლიოზი, მალერი, ბრუკნერი და ჩაიკოვსკი) კოლექტიურ განცდებს ანსახიერებს და მასიურ მრავალრიცხოვან აუდიტორიას მძლავრი, პლაკატის მაგვარ ენით ელაპარაკება. სწორედ მუსიკის ეს დარგი იგულისხმება, როცა ამბობენ, მუსიკას უდიდესი განმაზოგადოებელი ძალა აქვსო. სწორედ სიმფონიურ მუსიკაში ეხერხება კომპოზიტორს ყველაზე მკვეთრად ჩამოაყალიბოს თავისი მსოფლმხედველობა. ეს იცოდა თავის დროზე ბურჟუაზიამ როცა მარსის მინდორზე (პარიზში) დღესასწაულებს მართავდა და ჯერ გოსეკის და კერუბინის, შემდეგ—კი ბერლიოზის ნაწარმოებებს ასრულებდა.

ამის შემდეგ მკითხველისათვის ნათელი გახდება თუ როგორი დიდი მნიშვნელობის ნაბიჯი გადადგა განათლების სახალხო კომისარიატმა, როცა გადაწყვიტა მუდმივი სიმფონიური ორკესტრის დაარსება. საზოგადოების ნაწილი უნდობლად შეხვდა ამ გადაწყვეტილებას, რადგან ეს საქმე ბევრჯერ იქნა წამოწყებული, მაგრამ ყოველთვის უშედეგოდ დამთავრდა. ასე მაგალითად, ამ 7 წლის წინად დაარსდა სიმფონიური ორკესტრი რესპუბლიკის სახალხო არტისტის ივ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით. ამ ორკესტრმა, რომელსაც უმთავრესად ახალგაზრდობა შეადგენდა, დაამტკიცა, თუ რამდენად მძლავრი კულტურული ფაქტორია სიმფონიური ორკესტრი. მან გამოზარდა ახალგაზრდა მუსიკოსები, რომელნიც ამჟამად სათავეში უდგანან ჩვენ მუსიკალურ საქმიანობას, (**ევგ. მიქელაძე, ი. ტუსკია, გ. კილაძე, შ. თაქთაქიშვილი, შ. ასლანიშვილი, ნ. ჩიგოგიძე, გ. თაქთაქიშვილი, ვ. ნეიმანი, ვ. მელენტიევი, ნასიძე და სხვ.**).

ამავე დროს მან ბიძგი მისცა მუსიკალურ შემოქმედებას. მისი არსებობის პერიოდს ეკუთვნის გ. კილაძის სუიტა, ი. ტუსკიას „ჩელა" და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ წამოწყება ფრიად სიმპატიური და საჭირო იყო, იგი ჩაიშალა.

სწორედ ამიტომ საზოგადოების ნაწილი უნდობლად შეხვდა ახალ ორკესტრის შექმნას. მაგრამ ორკესტრის ხელმძღვანელის, ენერგიულ და ნიჭიერ დირიჟორის ევგ. მიქელაძის მუშაობამ ყველა სკეპტიკოსები დაადუმა.

18 მარტს, ოპერის შენობაში გამართულმა კონცერტმა დაგვანახა, თუ რა შესაძლებელია სისტემატიურ მუშაობას. ორკესტრი, რომლის სამი მეოთხედი სტუდენტებია, უკრავს, როგორც პროფესიული—მრავალი წლის ნამუშევარი კოლექტივი.

ევგ. მიქელაძე ახალგაზრდა დირიჟორია. 3 წლის წინათ დაამთავრა ლენინგრადის კონსერვატორია. მიქელაძე თავის ყოველდღიური მუშაობით ამტკიცებს, რომ მისი შემოქმედებითი ინდივიდუალობა იმდენად ძლიერია, რომ იგი შორს არის ყოველგვარ უნიჭო წამბაძველობისაგან. მისი მხატვრული შესრულების კულტურა, სინთეზია, ერთი მხრივ გ. მალერის სკოლის კულტურისა და მეორეს მხრივ ნიკიშის რომანტიული მიმართულებისა. მართალია, ნიკიშს სკოლა არ შეუქმნია, მაგრამ ღრმა დაღი დაასვა იმ დირიჟორებს, რომელთანაც მიქელაძეს უხდებოდა მუშაობა. ამასთან მიქელაძე თანდათან თავისუფლდება ფორმალისტური მემკვიდრეობიდან. ის მთავარ ყურადღებას აქცევს ნაწარმოების შინაარსის გახსნას (საკმარისია შევადაროთ მის მიერ შარშან და მიმდინარე წელს შესრულებული ოპ. „კარმენი", რომ ეს დებულება ცხადი შეიქნეს).

18 მარტს, გამართული კონცერტის პირველ განყოფილებაში შედიოდა ქართული მუსიკა, მეორეში—კომპ. რ. ვაგნერის შემოქმედება. ი. ტუსკიას სუიტა, „როტე ფანე" (6 ნაწილად) იმდენად მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს სიმფონიურ მუსიკის განვითარებაში, რომ ხელის წამოკვრით არ შეიძლება მისი შეფასება. ჩვენის აზრით, საჭიროა სპეციალური დისპუტი ამ ნაწარმოების შესაფასებლად. ჯერჯერობით ჩვენ შემდეგი მიგვაჩნია უდაოდ: ი. ტუსკია ქართველ კომპოზიტორთა შორის კომპოზიტორულ ტეხნიკის მხრივ ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია; ი. ტუსკიას აქვს მასალის ორგანიული გაშლის, განვითარების უნარი. ზოგჯერ იგი მას პირდაპირ არაჩვეულ მასშტაბით ანვითარებს (მესამე ნაწილი). ი. ტუსკიას შემოქმედებითი გზა, როგორც უკვე წინათ აღვნიშნეთ, წინააღმდეგობით სავსეა (ტეხნიკა ზოგჯერ გამოდის როგორც თვითმიზანი. ადგილი აქვს კმაყოფილების, შეთანაწყორების მომენტებს, რაც ზედმეტად ლამაზ ინტონაციებში იჩენს თავს; ამავე დროს მასალის შერჩევა—[illegible] მუსიკა გვიჩვენებს, რომ ტუსკიას სავსებით დაძლეული აქვს „ფრანგული" შემოქმედებითი გზა გრძნობის გარეგანი გამოხატულება პოზაში, მოძრაობაში და ნახაზების პლასტიურობაში). მიუხედავად ამისა, უდავოა, რომ ი. ტუსკია, ნელა, მაგრამ დაბეჯითებით დგება ნამდვილ რეალისტურ საფეხურზე, რაც მისასალმებელი ფაქტია. ტუსკიას „როტე ფანე" პირველი ნაწარმოებია, რომელშიაც ადგილი აღარა აქვს „ხალხოსნური ნაციონალიზმის" იდეების გავლენას, რითაც ასე უხვად იყო დაჯილდოვებული წინანდელი ქართული მხატვრული მუსიკა (არაყიშვილი, სულხანიშვილი და სხვ.).

ასეთ შთაბეჭდილებებს ჰქმნის „როტე ფანეს" გულდასმით მოსმენა. შეიძლება ზოგიერთი დებულება დასაბუთებას მოითხოვდეს, ამიტომ საჭიროა დისპუტის მოწყობა.

მეორე ნაწარმოები, რომელიც ორკესტრმა შეასრულა, ეს იყო ორი მარში გრ. კილაძის ოპერა „ბახტრიონიდან" (ლიბრეტო პ. კაკაბაძისა). ვინაიდან ამ მარშების შესრულებას არავითარი ახსნა-განმარტება არ უძღოდა, ზოგი რამ საზოგადოებისათვის ამ მუსიკაში გაუგებარი დარჩა, თუმცა მუსიკის ორიგინალურმა ორკესტრობამ დიდი ყურადღება მიიპყრო. კომპოზიტორმა მიზნად დაისახა ამ მარშებში გამოეხატა უმოქმედო, მცონარე, უარყოფითი სოციალური ტიპების [illegible] იერის მიღების და საზეიმო განწყობილებების შექმნის ამაო ცდა (ოპერა „ბახტრიონში" ნიღაბით მოცემულია წარსული საქართველოს ყველა უარყოფითი სოციალური ტიპები). ეს ამოცანა კომპოზიტორმა ბრწყინვალედ დასძლია. გ. კილაძეს უდიდესი მუშაობა აქვს ჩატარებული ახალი მუსიკალური ენის გამოსამუშავებლად. თუ კილაძეს ტუსკიასთან შედარებით აკლია კომპ. ტეხნიკა, სამაგიეროთ მისი შემოქმედება უფრო ორგანიული, მონოლიტური და ცხოვრებასთან მჭიდროთ დაკავშირებულია. უკეთ რომ ვსთქვათ, კილაძეს არ აკლია კომპოზ. ტეხნიკა, არამედ იგი შეგნებულად უარყოფს სიმფონიზმის ისეთ გზას, სადაც არის ხალხური შემოქმედების საფუძველზე გამომუშავებული მუსიკალურ ენიდან გადახვევის საშიშროება. ამის ნაცვლად, ის უფრო ლაკონიურ ფორმებს მისდევს და ნელი, მაგრამ შეუპოვარი ნაბიჯით მიიმართება ხალხური მუსიკალურ ენაზე აგებულ სიმფონიზმისაკენ. გარდა ზემოთქმულისა, გ. კილაძე წარმოგვიდგა, როგორც ორკესტრის იშვიათი ოსტატი.

მიუხედავად ტეხნიკური სიძნელეებისა, როგორც ეს ნაწარმოებნი, ასე სხვა (ვაგნერის, არაყიშვილის, ფალიაშვილის) ორკესტრმა ზედმიწევნით შეასრულა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფრიად სასიამოვნოა, როცა ისმენ ჩვენი მომღერლების მიერ (**ლუკანინი, ბადრიძე**) ახალ ნაწარმოებთა შესრულებას. კერძოდ დ. ბადრიძემ დაამტკიცა, რომ მას შესძლებია არა მარტო მობეზრებულ ალფრედების და ჰერცოგების პარტიების, არამედ უფრო ღრმა შინაარსიანი მუსიკის კარგათ შესრულება. ჩვენმა მომღერლებმა ხშირად უნდა მიიღონ მონაწილეობა ორკესტრთან ერთად კონცერტებში. ეს ასწევს მათი მხატვრული შესრულების კულტურას.

კონცერტი ტეხნიკურად ცუდათ იყო მოწყობილი. იგი ორჯერ გადაიდო (მსახიობების ავადმყოფობის გამო). გადადება არც აფიშებში და არც გაზეთებში არ გამოუცხადებიათ. ამიტომ დარბაზი სავსე არ იყო.

შემდეგ, ჩვენის აზრით, ასეთ მოვლენას უნდა გამოეხმაურებოდა ჩვენი საბჭოთა საზოგადოებრიობა და ხელოვნების მთავარი სამმართველო. როგორმე აღნიშნული უნდა ყოფილიყო ამ ფაქტის მნიშვნელობა. გარდა ამისა, როგორც გავიგეთ, ზოგიერთი ორგანიზაციები გაუგებარი მოსაზრებით წინააღმდეგობას უწევენ და ხელს უშლიან სიმფონიური ორკესტრის მუშაობას. ამგვარ მოვლენებს ბოლო უნდა მოეღოს, საქართველოს სიმფონიური ორკესტრის მუშაობა უნდა ჩადგეს ნორმალურ პირობებში. საჭიროა მისი ფართო პოპულარიზაცია და მისთვის როგორც მორალური, ისე მატერიალური დახმარების აღმოჩენა.

გ. ტოროშელიძე.

მასალები და დოკუმენტები

ბოსლეველი

(მისი ნაწერების გამოცემის გამო)



ბოსლეველი ერთი იმ მწერალთაგანია, რომელიც თითქმის სავსებით დავიწყებული იყო ჩვენს მწერლობაში და უკანასკნელ ხანამდე მას სათანადო ყურადღება არ ღირსებია. იგი 80-იან წლების დასაწყისში გამოვიდა საპოლემიკო ასპარეზზე თითქმის ამავე ხანებში გამოვიდნენ მწერლობაში **ა. ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა**, ხოლო პუბლიცისტიკასა და სალიტერატურო კრიტიკაში—**ივ. მაჩაბელი, ნ. ხიზანაშვილი** (ურბნელი და სხ.), **ს. მრელაშვილის** (ტატალა, სანო), **ი. ბახტაძე**, (ი. ხონელი). **დ. კეზელი** (დავით სოსლანი, არაგველი, ზოილი), **რ. ფანცხავა** (ზოილელი), **ალ. ნანეიშვილი** (ა. ნა—ლი), **გრ. ყიფშიძე** და სხვები. ამავე ხანებში გაცხოველდა ჟურნალ-გაზეთების გამოცემა და კამათი მიმდინარეობათა შორის, პრესაში: ტფილისში გამოვიდა (1881—83 წ.) „ტერიტორიალისტების" ორგანო **„იმედი"**, ქუთაისში — დემოკრატიული მიმდინარეობის ორგანო **„შრომა"** (1881—83) ცნობილმა დ. ღამბაშიძემ 1883 წ. დაიწყო გამოცემა რუსულსა და ქართულ ენაზე კლერიკალურ-რეაქციონური ორგანოს—„მწყემსი", 1884 წ. გამოვიდა პედაგოგიური ორგანო **„ნობათი"**, 1883 წ. ქალთა წრემ გამოსცა თავისი არაპერიოდული ორგანო. რუსულად დაიწყეს გამოცემა: **„იურიდიჩესკოე ობოზრენიე"** (1881 წ.) და **„ნოვოე ობოზრენიე"** (1884 წ.) ამავე ხანებში განაგრძობდა გამოსვლას ორი დიდი ქართული ორგანო „დროება" (1885 წლამდე) და „ივერია". ი. მჭედლიძე „შრომის" დაარსების დღიდანვე, თანამშრომლობდა ამ ორგანოში, მისი დახურვის შემდეგ წერილებს ათავსებდა „დროებაში", აქვს რამოდენიმე წერილი მოთავსებული „ივერიაში"-ც მისი ლიტერატურული ფსევდონიმები იყო: **ბოსლეველი, გარეშე მაყურებელი, მაშელი.** მრავალი მისი წერილი ხელმოუწერლად არის მოთავსებული „შრომაში". სწერდა პუბლიცისტურ წერილებს,—ამ მხრივ ყველაზე უფრო საინტერესოა მისი პოლემიკა გ. მაიაშვილთან და ჟურ. „იმედის" ნაროდნიკ-პუბლიცისტებთან. წერილები დამახინჯებულია მაშინდელი ცენზურის მიერ: მაიაშვილის საწინააღმდეგო 9 ფელეტონიდან დაბეჭდილია მხოლოდ სამი: აქვს მთელი რიგი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილი — აქედან მეტად საინტერესოა ი. ჭავჭავაძის „განდეგილის" გარჩევა: „დროებაში" 1883—5 წ.) იბეჭდება მისი საინტერესო „ქუთაისური ფელეტონები" ყოველდღიურ საჭირბოროტო საკითხების შესახებ.

ბოსლეველის ნაწერებს ამჩნევია მარქსიზმის თავისებური გავლენა „შრომაში", სხვათა შორის, პირველად ვხედავთ ჩვენ რამოდენიმე მარქსისტული აზროვნების გამომხატველ წერილებს... მარქსის გავლენა უფრო ძლიერად სჩანს ბოსლეველის წერილებზე.. რა თქმა უნდა ბოსლეველი ჭეშმარიტი მარქსისტი არ ყოფილა და ვერც იქნებოდა" (ფ. მახარაძე).

ბოსლეველი მონაწილეობას ღებულობდა 70—80 წლების რევოლიუციონურ მოძრაობაში მოწაფეობის დროს იგი მონაწილეობდა მოწაფეთა წრეებში, ხოლო შემდეგ მოსკოვში, სადაც იგი ისმენდა ლექციებს, ოპვ. მოძრაობაში მონაწილეობისათვის იძულებული შეიქნა საქართველოში გამოქცეულიყო. აქაც მას არ ასვენებდნენ ალექსანდრე მესამის აგენტები, ბოლოს მან თავი შეაფარა ეპ. გაბრიელს და მისი კანცელარიის მდივნად იქნა დანიშნული. გაბრიელის შუამდგომლობამ და ავტორიტეტმა რამდენადმე იხსნა პოლიციის დევნისაგან. სამაგიეროთ იმერეთის სამღვდელოება გადაეკიდა: მჭედლიძემ გამოაქვეყნა მთელი ის სიბინძურე და მექრთამეობა, რომელიც გამეფებული იყო იმერეთის სამღვდელოებაში. მანვე გამოაქვეყნა ბლაღოჩინ დ. ღამბაშიძის ის დანოსი ქართულ პრესაზე, რომლითაც ის ითხოვდა ქართულ ჟურნალ-გაზეთების დაკეტვასა და კლერიკალურ „მწყემსის" გამოცემას. ამ გარემოებით მჭედლიძემ დიდი რისხვა დაიმსახურა ბოროტი ბლაღოჩინის. სამღვდელოებამ მოინდომა მისი ფიზიკურად მოსპობა. მეთაურებმა დაიწყეს საიდუმლო კრებების გამართვა და ბრძოლის მეთოდების გამომუშავება „სულიერმა მამებმა" მოყიდული პირის, კლერიკალური კლიკის ერთ-ერთი ძმის საშუალებით 1885 წ. მარტში 27—28 წლის ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მებრძოლი პუბლიცისტი და კრიტიკოსი გამოასალმეს წუთისოფელს. დილას სამსახურში მიმავალ მჭედლიძეს ბაგრატის ტაძრის აღმართზე დაეწია ცხენზე მჯდომი „სულიერ მამების" მოყიდული აგენტი და რევოლვერით ზურგიდან გული გაუგმირა. ამ საზიზღარმა მკვლელობამ დიდი აღშფოთება გამოიწვია საზოგადოების მოწინავე წრეებში. მკვლელი აღმოჩენილ იქნა და კატორღაში გაგზავნილი. ამგვარად დაისაჯა მხოლოდ ფიზიკური მკვლელი, ხოლო ამ მკვლელობის ორგანიზატორები და სულისჩამდგმელნი უვნებლად გადარჩენ და განაგრძეს თავიანთი საგმირო საქმენი: მათ თავიდან მოიცილეს დაუძინებელი მტერი მ. მჭედლიძე.

ასე დაიღუპა 80-იანი წლების ეს ნიჭიერი პუბლიცისტი და კრიტიკოსი.

ამჟამად სახელგამს განზრახული აქვს გამოსცეს ბოსლეველის რჩეული ნაწერების კრებული, რომელსაც თანდართული ექნება ამხ. **ფ. მახარაძის** წერილი და სიმ. ხუნდაძის მონოგრაფია ბოსლეველის შესახებ. წერილების შეგროვება და რედაქცია მინდობილი აქვს ს. ხუნდაძეს.

ს. ხუნდაძე.

ბეჭდვითი სიტყვის საარსებო პური

პური, რომლის შესახებაც ჩვენ გვინდა ვილაპარაკოთ ამ წერილში, საბაზოში არ ცხვება და არც იჭმება, მაგრამ მით მაინც იკვებება ბეჭდვითი სიტყვა და ყველა ის, ვინც მასზე მუშაობს. ბეჭდვით სიტყვას დღეს ეს საზრდო არ ყოფნის, რასაკვირველია არა იმიტომ, რომ იგი წინანდელზე ნაკლები მზადდება, არამედ იმიტომ, რომ საზღაპროდ გაიზარდა მისი საჭიროება.

ჩვენ ვგულისხმობთ ქაღალდს. საბჭოთა რესპუბლიკები ქაღალდის წარმოების საქმეში განთავისუფლდენ უცხოეთის დამოკიდებულებისაგან, მათ შექმნეს საკუთარი მტკიცე ბაზისი ქაღალდის წარმოების სახით, და დღეს საბჭოთა ქაღალდის მრეწველობა იმაზე ორჯერ მეტ პროდუქციას იძლევა, ვიდრე შემოქონდა ომის წინადროინდელ რუსეთს საზღვარგარეთიდან. მაგრამ ქაღალდი მაინც არ გვყოფნის, რადგან დღეს ქაღალდს მოითხოვენ არა მარტო ქალაქები, არამედ სარაიონო ცენტრები და სოფლები. მრავალი სარაიონო გაზეთი, საქარხნო მრავალტირაჟიანი, საკოლმეურნეო გაზეთები, კედლის გაზეთები, მასიურ პოლიტიკური, მასიურ მხატვრული გამომცემლობანი—აი, ესენი არიან ქაღალდის ახალი მომხმარებელნი. მათი მოთხოვნილება ქაღალდზე დღითი დღე იზრდება.

რა დააპურებს ამდენ მომხმარებელს?

— ქაღალდის ახალი საწარმოები, რომლებიც დამატებით შენდება მეორე ხუთწლედში. საქართველოშიაც მიმდინარეობს ენგურისა და ზზიბის კომბინატების მშენებლობა. გადაწყვეტილია აგრეთვე 1934 წელს ტფილისში აშენდეს ცელიულოზის ქარხანა, რომლის ნედლეული ბაზა იქნება უმთავრესად ვენახის წალამი.

ყველაფერი ეს—უდავო რეალური პერსპექტივებია. მაგრამ ვერც ენგურის, ვერც ზზიბის კომბინატები და ვერც ტფილისის ცელიულოზის ქარხანა პირველ პროდუქციას 1935 წელზე ადრე ვერ მოგვცემენ. მომხმარებელთა ზემოხსენებული კონტინგენტი კი დღეს **არსებობს** და თავის არსებობისათვის **დღესვე** საჭიროებს საზრდოს.

სწორედ ამ გადაუდებელ საჭიროებას გაუწია ანგარიში საკავშირო მთავრობამ. როცა გადადო ერთი მილიონი მანეთი საქართველოში ქაღალდის ფაბრიკის ასაშენებლად და ამასთან დაადგინა—ა.-წ. დეკემბრამდე აშენდეს და ამუშავდეს ქაღალდის ფაბრიკა ტფილისში (ნავთლუღში).

რა უნდა მოგვცეს ამ ფაბრიკამ?

ფაბრიკა, რომელიც პირველ ხანებში გადაამუშავებს მხოლოდ მაკულატურას, წლიურად დაამზადებს სამი ათას ტონა ქაღალდს და დაზოგავს ნახევარ მილიონ მანეთს, რომელიც სჭირდება მაკულატურის გადაგზავნას როსტოვის ქარხნებში გადასამუშავებლად და სამი ათასი ტონა ქაღალდის ვადმოზიდვას საბჭოთა კავშირის სხვა დასხვა ქალაქებიდან ტფილისამდე. ეს უბრალო არითმეტიკული ანგარიში გვავალებს, რომ დავაჩქაროთ ფაბრიკის მშენებლობის დაწყება, შევასრულოთ მთავრობის მტკიცე გადაწყვეტილება — დავამთავროთ ფაბრიკის მშენებლობა ა.-წ. დეკემბრამდე. მაგრამ მშენებლობის დაწყება ჭიანურდება.

რა აფერხებს საქმეს?

ფაბრიკის მოწყობილობის თითქმის მთელი კომპლექტი უკვე ჩამოტანილი იქნა ტფილისში ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერ-დეკემბერში. ფაბრიკის ასაშენებელი ფულიც გადადებულია, გამოძებნილია მშენებელი ინჟინრებიც, მიღებულია ზომები კვალიფიციურ მუშების მოსამზადებლად. მაგრამ მშენებლობა მაინც ვერ იწყება, რადგან არსებობს მთავრობის გადაწყვეტილება—არ დაიწყოს არავითარი მშენებლობა მანამდე, ვიდრე დამტკიცებული არ იქნება პროექტი.

და აი, სწორედ ამ პროექტის დამუშავებას აგვიანდება. პროექტის შედგენა მაისის პირველ ნახევრამდე თუ დამთავრდება, მის დამტკიცებას უმაღლეს საკავშირო ორგანოებში 1 თვე მაინც დააგვიანდება, ამგვარად ვერც პროექტს და ვერცს ფულს ტფილისი ვერ მიიღებს ივნისის დამლევამდე, რაც აშკარა საფრთხის ქვეშ აყენებს ფაბრიკის მშენებლობის გეგმის დროზე შესრულებას, თუ სასწრაფოდ გამონახული არ იქნა გამოსავალი.

გამოსავალი კი არსებობს.

საქმე იმაშია, რომ მშენებლობის დაწყებამდე საჭიროა წინასწარი მუშაობა, რომ სავსებით უზრუნველყოფილი და მომზადებული შევხვდეთ პროექტის დამტკიცებას. საჭიროა მომარაგებულ იქნას საამშენებლო მასალა, აშენდეს მექანიკური სახელოსნო, ჩამოყვანილი და დაბინავებულ იქნეს ინჟინერ - ტეხნიკური პერსონალი. ყველაფერი ეს ახლავე უნდა გაკეთდეს, რომ დრო მოვიგოთ და მშენებლობას შეუდგეთ პროექტის დამტკიცებისთანავე.

წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა მოითხოვს თანხას დაახლოებით 250.000 მანეთს. ეს სესხის სახით დაუყოვნებლივ უნდა გამოიძებნოს, რომ მუშაობა ეხლავე გაიშალოს. კრედიტის გახსნისთანავე სესხი დაიფარება იმ მილიონ მანეთიდან, რომელიც გამოყოფილია ფაბრიკის ასაშენებლად.

ამ საქმის ინიციატორები უკვე იანვრიდან იბრძვიან ამ 250 ათასი მანეთის გამოძებნისათვის, მაგრამ მათი ენტუზიაზმი ხვდება გულგრილობას—ბევრ ასეთ ორგანიზაციის მხრივ, რომლებიც ყველაზე მეტად დაინტერესებული უნდა იყვნენ ფაბრიკის მშენებლობის დროზე დამთავრებით და მისი ამუშავებით.

მთელი ჩვენი საბჭოთა საზოგადოებრივობა უნდა გამოესარჩლოს ამ გადაუდებელ საქმეს, უნდა ამოქმედდეს პარტიული და საზოგადოებრივი ზეგავლენის ყველა ბერკეტები, რომ ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის, განსაკუთრებით პერიოდული პრესის ორგანოებმა სათანადო სამეურნეო ორგანიზაციებთან ერთად გამონახონ საჭირო თანხა მშენებლობის მოსამზადებელი მუშაობის დასაწყებად.

მთავრობის გადაწყვეტილება უნდა შესრულდეს: ტფილისის ფაბრიკამ ა.-წ. დეკემბრიდან უნდა მისცეს ბეჭდვით სიტყვას საჭირო ქაღალდი.

ვ. წ.

საქ. საბჭ. მწერლების აჭარისტანის განყოფილებაში

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის აჭარისტანის განყოფილების მუშაობის პირობები უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაუმჯობესდა. განყოფილებას მიეცა ბინა, სადაც სისტემატიურად სწარმოებს მხატვრულ ნაწარმოებების კითხვა-გარჩევა. 18 თებერვალს გაიმართა სერაფიმოვიჩის საიუბილეო საღამო.

აჭარგანყოფილების ჩამოყალიბების დღიდან შეცვლილ იქნა მასიურ მუშაობის მეთოდიც. სისტემატიურად ეწყობა გამოსვლები მუშათა კლუბებში, რადიო გადაცემები და სხვა. მწერლებს მიეცათ დავალებები დასწერონ სხვადასხვა თემებზე მხატვრული ნაწარმოებები უკვე მზად არის გამოსაცემად შ. ციბელის პოემა, შ. შუბლაძის, ძიმისტარაშვილის, ნ. მალაზონიას, მ. მეგრელიძის, გ. გრიგორიანის, გ. ბასილაშვილის, პ. იობლისა და სხ. ნაწერები. ალმანახისათვის აგრეთვე ვ. ასკურავას და პ. იობლის პიესების კრებული, რომელიც გადაეცემა სახელგამს გამოსაცემად.

მაგრამ გამომცემლობის საკითხი ჯერ კიდევ ვერ არის მოგვარებული, რაც ხელს უშლის ადგილობრივ ორგანიზაციის ზრდას. ნაკლები ყურადღება ექცევა მწერალთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესებას, ბევრი მწერალი ძალიან დატვირთულია სხვადასხვაგვარ საქმეებით, ეს აბრკოლებს მათ შემოქმედებითი აქტივიზაციას.

ზემდგომ ორგანოებს მრავალგვარ მითითებების მიხედვით ადგილობრივ პროფ. ორგანიზაციების კულტგანყოფილებებს არავითარი დამოკიდებულება მწერლებთან არა აქვთ.

საგაზაფხულო თესვის კამპანიის მომსახურებისათვის აჭარ. განყოფილებამ ხულოსა და ქედის რაიონებში მიავლინა ორი ამხანაგი. დაწერილ იქნა ორი პიესა სპეციალურად რაიონებში დასადგმელად და გადაეცა მოსამზადებლად აგიტბრიგადას, რომელიც ყველა თემებსა და სოფლებს ჩამოივლის.

ზაფხულის პერიოდში განზრახულია ამხანაგების მივლინება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შემოქმედებითი მუშაობისათვის.

პ. ლორია.

„საბჭოთა მწერლობა"

დაიბეჭდა და გამოვიდა

შინაარსი

მხატვრული ლიტერატურა

გ. შატბერაშვილი — **მეხის ქვეშ** (თავი პოემიდან).

ნ. ბორბაძე — **ხუთწლედის სიმღერები** (სიმღერა მეორე);

ა. ბიდაშ — **კოლონები ყვირიან** (ლექსი) თარგმ. ტ. ტაბიძის;

ს. შანშიაშვილი — **უტეხი** (მოთხრობა);

გ. ქუჩიშვილი — **ქუჩის პოეტი** (ლექსი);

ა. ქუთათელი — **საბურთალო** (მოთხრობა);

კ. გოგოხიძე — **ჩვენი ვარსკვლავი** (ლექსი);

ტ. ბაბედავა — **სადაც ბალახობს სამხედრო ცხენი** (ლექსი);

ს. თალაკვაძე — **მოწინავენი** (თავი რომანიდან).

საბჭოთა დღეები

მ. ჩიქოვანი — **სწავლული ციფრები** (ნარკვევი).

ლიტერატურა და ხელოვნება

კ. მარქსი — **ლიტერატურის და ხელოვნების შესახებ**;

ბ. ნატროშვილი — **კარლ მარქსი და ხელოვნების საკითხები**;

ერ. ასტვაცატუროვი — **სამოქალაქო ომების რომანტიკოსი**.

კრიტიკა და მეთოდოლოგია

დ. ბენაშვილი — **ხელოვნების დაცემისა და აყვავების მეთოდოლოგიური საფუძვლები**;

თეატრი

შ. რადიანი — **კლასიკოსი საბჭოთა სცენაზე**.

როგორ ვმუშაობთ

დ. სულიაშვილი — **შემოქმედებითი მუშაობისათვის**.

უცხოეთი

ამერიკელი ღვთის მაძიებელნი

ერთ-ერთ ამერიკულ გაზეთს „ოკლახომა ინფორმერ"-ში მოთავსებულია პასტორ ტერრი-კერის შემდეგი განცხადება:

„ქრისტე ბიზნესმენებს (საქმიან ადამიანებს) შორის ყველაზე გენიალური იყო. მას ბავშობიდანვე ჰქონდა გარკვეული ურთიერთობა მამასთან, როგორც წმინდა საქმიანი ურთიერთობა. მთელ თავის სიცოცხლეში იგი ბევრს ქადაგებდა მოგებასა და წაგებაზე, საქონლის ფასზე. ბიზნესში მან შეიტანა რელიგია, ხოლო თვით რელიგიაში კი ბიზნესი. ბიზნესმენი (საქმიანი კაცი) რომელიც ქრისტეს მისაბაძ მაგალითად გაიხდის, არასოდეს არ იზარალებს. ქრისტე აღჭურვილი იყო უდიდესი კომერციული უნარით. მას სწამდა ფულის ძალა და თავისი ეკლესიაც მან მტკიცე საძირკველზე, ფულზე ააგო".

რევოლიუციონური სიმფონია

იაპონიის რევოლიუც. კომპოზიტორმა შუ **ნინომიიამ** დაამთავრა მონუმენტალური ნაწარმოები — რევოლიუციონური სიმფონია 5 ნაწილად. სიმფონიის ძირითადი თემა—პროლეტარიატის ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ, ბრძოლა სამხედრო საშიშროებასთან, ბრძოლა თავისუფალი შრომისათვის.

სიმფონიაში ფართოდ არის გამოყენებული იაპონიის პროლეტარიატის მასიური სიმღერები.

კანტანტა კომუნისტური მანიფესტის ტექსტის მიხედვით

ჩეხოსლოვაკელმა კომპოზიტორმა **ერვინ შალგოფმა** დასწერა კანტანტა კომუნისტური მანიფესტის ტექსტის მიხედვით გუნდისათვის, სოლოსათვის და ორკესტრისათვის. უახლოეს დროში პარტიტურა გადმოიგზავნება საბჭოთა კავშირში.

გერმანიის ფაშისტური ტერორის წინააღმდეგ

საფრანგეთის მუშათა თეატრის ფედერაციამ გერმანიის ფაშისტური ტერორის საპროტესტოთ გამოუშვა „წითელი ფურცელი", რომელსაც უდიდესი თანაგრძნობით გამოეხმაურა ცნობილი კომპოზიტორი დარიუს **მიიო**.

კომუნისტური შეთქმულებისათვის

ბუდაპეშტში დაპატიმრებულია მხატვრების, პროფესორების და უმაღლეს მუსიკალური სკოლის სტუდენტების დიდი უმრავლესობა რომელთაც ბრალდებათ მონაწილეობა კომუნისტურ შეთქმულებაში.

პროლეტარული მუსიკისათვის

ჰოლანდიაში ჩამოყალიბდა მუსიკოსთა ბიურო, რომლის მიზანია — პროლეტარული მუსიკის პროპაგანდა. ბიუროს მუშაობაში ჩაბმული არიან ჰოლანდიის სახელგანთქმული მუსიკოსები და კომპოზიტორები.

ბრუნო ვალტერი „ებრაელია" (!)

საქსონიის შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით ბრუნო ვალტერს აეკრძალა სიმფონიური კონცერტის დირიჟორობა.

პარიზის **გაზეთი „კომედია"** გამოთქვამს აზრს, რომ „ცნობილ დირიჟორს ბრუნო ვალტერს ლაიპციგში აღუკვეთეს დირიჟორობა, იმიტომ რომ ის ებრაელია. (!).

მხატვრების და პროფესორების დაპატიმრება ბუდაპეშტში

ბუდაპეშტში პოლიციამ დააპატიმრა რამდენიმე მხატვრები და პროფესორები. ყველა დაპატიმრებულთ წაყენებული აქვთ ბრალდება კომუნისტურ შეთქმულების მოწყობაში.

„ბუბული, ბულბული და ვირი"

ერთ-ერთ ფრანგულ ლიტერატურულ სამსჯავროს ახლა ხან მეტად საინტერესო ისტორია შეემთხვა. ვიღაც ახირებულმა მეცენატმა დასტოვა ანდერძი ლიტერატურული პრემიების გაცემის შესახებ მწერლებზე, რომელთა ასაკი 13 წელზე მეტი არ იქნება. პრემიების გაცემა დაავალა სალიტერატურო ჟიურის, რომელშიაც შედიოდნენ საკმაოდ ცნობილი მწერლები და ზოგი სახელგანთქმული კრიტიკოსები. ეს ანდერძი გამოდგა დიდი შეცდომა, როგორც ჟიურის, ისე თვით ბავშვების წინაშე.

ჟიურიმ პრემია მიუსაჯა პარიზის ერთ-ერთი სკოლის მოწაფე ქალს, რომლის სურათი ამ შემთხვევის გამო დაიბეჭდა პარიზის თითქმის ყველა გაზეთებში. ამ ქალის დაჯილდოვებული ნაწარმოები „ბუბული, ბულბული და ვირი" დაიბეჭდება საფრანგეთის ცენტრალურ სალიტერატურო ორგანოში „ნუველ ლიტერერ"-ში სადაც ქვეყნდება უახლესი ლიტერატურული ნაწარმოებები. არ გაუვლია ერთ კვირას, რომ პარიზის ერთ ყოველ კვირეულ სალიტერატურო გაზეთის რედაქციას ვიღაც პროვინციალიდან მოსდის წერილი, სადაც იგი იუწყება, რომ პრემიამისჯილი მოთხრობა უკვე დაბეჭდილი იყო წინათ და ამასთან ძალიან ადრე, სახელდობრ იგი მოთავსებული იყო მეთვრამეტე საუკუნის ფილოსოფოსის—დიდროს წერილთა კრებულში.

ამგვარად გამოირკვა, რომ ჟიურის წევრებს—სახელგანთქმული მწერლები და თვით დიდროს უახლესი ბიოგრაფიის ავტორი სრულიად არ იცნობდენ საფრანგეთის ეპისტოლიარულ ლიტერატურის ისეთ იშვიათ ნიმუშს, როგორიც არის ფილოსოფოს დიდროს წერილები.

ლიტქრონიკა

# **„ბათა ქექია".** იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა **დემნა შენგელაიას** რომანი „ბათა ქექია". გამოც. „სახელგამის".

# ამხ. **პანტელეიმონ ჩხიკვაძე** არჩეულ იქნა ჟურ. „მნათობი"-ს რედაქტორის მოადგილედ.

# **კურსები კლუბის მუშაკთათვის.** კლუბის მუშაკების თეორეტიული დონის ამაღლების მიზნით იხსნება მოკლევადიანი კურსები. აპრილში კურსები გაიხსნება სტალინის სახ., ორჯონიკიძის სახ., პლეხანოვის სახ. და ტრამვაელთა კლუბის აქტივისათვის. მაისში გაიხსნება კურსები ტფილისის ყველა დანარჩენი კლუბებისათვის.

# **შექსპირი ქართულ ენაზე.** ირ. ტატიშვილმა და დავ. კასრაძემ სთარგმნეს ინგლისურიდან — შექსპირის პიესა „ზამთრის ზღაპარი". იგივე მთარგმნელები შეუდგნენ მეორე პიესის თარგმნას: **ქარიშხალი".**

# 4 აპრილს, ლიტწრეების ხელმძღვანელების თათბირმა მოისმინა ამხ. რ. გვეტაძის მოხსენება სალიტერატურო წრეების მუშაობის შესახებ. ორი ლიტწრის გამოკლებით, თათბირმა ლიტწრეების მუშაობა არ სცნო დამაკმაყოფილებლად და დასახა ღონისძიებები ლიტწრეების მუშაობის გარდასაქმნელად.

ამ დღეებში პრეზიდიუმი იწვევს გაფართოებულ თათბირს ამავე საკითხზე.

# **ლენინაკანის მუსიკალური ტეხნიკუმი.** ლენინაკანის მუსიკალური ტეხნიკუმისათვის სათანადო ინსტრუმენტების შესაძენად —საქ. განსახკომმა გადადო 5.000 მანეთი. სახ. კონსერვატორიას წინადადება მიეცა გამოჰყოს ტეხნიკუმის საჭიროებისათვის ორი როიალი.

# **„თანამედროვე ქართული ლიტერატურა".** დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა შ. რადიანის წიგნი „თანამედროვე ქართული ლიტერატურა" (მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა). გამოცემა სახელგამის.

# **„ალმასტი".** 17 აპრილისათვის დამსახ. მსახიობის **ლ. ისეცკის** 20 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად ტფ. სახ. ოპერა განაახლებს ოპერა „ალმასტი"-ს დადგმას.

# 4 აპრილს, საღამოს მწერალთა სახლში დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი ვ. შკლოვსკის მოხსენება „საბჭოთა კინემატოგრაფიის მუშაობა 1932 წელს".

კამათი ამ მოხსენების შესახებ გადატანილ იქნა საქ. სახკინმრეწვის შენობაში.

# **„ლიტერატურული სილუეტები".** დაიბეჭდა და გამოვიდა **შ. რადიანის და ქ. ირემაძის** წიგნი „ლიტერატურული სილუეტები". გამოცემა „ფედერაციის".

# **საგაზაფხულო თესვაზე.** საგაზაფხულო თესვის მხატვრული მომსახურეობის მიზნით რაიონებში მიემგზავრება ექვსი თეატრალური ბრიგადა.

# **„ოტელლო" სახ. ოპერაში.** ტფ. სახ. ოპერა უკანასკნელ პრემიერად გაუშვებს „ოტელლო"-ს რეს. სახ. არტისტის **კ. მარჯანიშვილის დადგმით.** მხატვარი **ს. ვირსალაძე**, დირიჟორი ე. მიქელაძე. მთავარი პარტიები განაწილებულია შემდეგნაირად. ოტელლო—**დ. ანდღულაძე და ვ. ქაშელი**, იაგო—გორელოვი და პრივალოვი, დეზდემონა — **ზაკრევსკაია და ე. სოხაძე.** პრემიერა დანიშნულია 5 მაისისათვის.

# 2 აპრილს, საქ. საბჭოთა მწერლების კავშირმა სომხეთის ცნობილი მწერლის ოვანეს თუმანიანის გარდაცვალების 10 წლის თავის აღსანიშნავად მოაწყო საღამო. ოვანეს თუმანიანი, როგორც პოეტი და როგორც ამიერ-კავკასიის ხალხთა კულტურულ კავშირისათვის მებრძოლი მოღვაწე, დაახასიათეს ამხ. **ს. ეულმა, ბეს. ჟღენტმა, ტ: ტაბიძემ, აგ: ვართანიანმა.**

ი. გრიშაშვილმა წაიკითხა ქართულად ოვ. თუმანიანის პოემა „ერთი წვეთი თაფლი" და ლექსი „საქართველოს პოეტებს". ოვ. თუმანიანის ლექსები მელოდეკლამაციით წაკითხულ იქნა სომხური სახელმწიფო დრამის მსახიობების მიერ. საღამოს დაესწრო დიდძალი საზოგადოება.

გრიგოლ ორბელიანი

ამა წლის 4 აპრილს შესრულდა 50 წელიწადი პოეტ გრიგოლ ორბელიანის გარდაცვალებიდან. ამ თარიღთან დაკავშირებით ჩვენი გაზეთი მოათავსებს სპეციალურ წერილს პოეტის შემოქმედებაზე.

ერედია ქართულად

11 აპრილს მწერალთა კლუბში, მიქ. პატარიძემ წაიკითხა ხოზე-მარია ერედიას სონეტების თარგმნების ნიმუშები.

გამოვიდა და იყიდება



შეცდომის გასწორება

საბჭოთა მწერლების საქ. ორგკომიტეტის მეორე პლენუმზე ამხ. ს. ეულის მიერ გაკეთებულ მოხსენების ანგარიშში, რომელიც მოთავსებული იყო ჩვენი გაზეთის № 7-ში, გაიპარა შეცდომა. სწერია: „ამიტომ საბჭოთა მწერლების კავშირის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს სრული ლიკვიდაცია იმ ყოფილ ხელმძღვანელ ჯგუფის, რომელსაც მეთაურობს ამხ. ბ. ბუაჩიძე", უნდა იყოს, „...იმ ყოფილი ხელმძღვანელი ჯგუფის, რომელსაც **მეთაურობდა** ამხ. ბუაჩიძე".

სარედაქციო კოლეგია:
დ. დემეტრაძე (პ. მგ. რედაქტორი) რ. გვეტაძე (პ.-მგ. მდივანი). მ. დუდუჩავა, ს. თალაკვაძე, ნ. მიწიშვილი, ლ. ქიაჩელი, ნ. ზომლეთელი, ბეს. ჟღენტი.

ტირაჟი 6000
სტამბა „კომუნისტი". კაშის ქუჩა № 68.
მთავლიტი № 509

ლმა ბიჭმა ხალათის გადაძრობა დაა- ძაღლს არ ვცსვრი. იმ სულმაღლმა კი კაცი

ტირაჟი 6000
სტამბა „კომუნისტი". კაშის ქუჩა № 68